F 221
1932

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დროშა



ხურვალე სალამი წითელი არმიის ქართულ ნაწილებს
მათი გმირული ბრძოლების 11 წლის თავზე

ნახატი შ. ბერიტაშვილის.

№ 6

# იოჰან ვოლფგანგ გოეთე

„მას შემდეგ, რაც გერმანელებმა კვლავ მოიპოვეს თავისთვის სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ცუდია, თუ კარგი, მაგრამ ზრუნვა გოეტეს ხსოვნაზე რჩება პედანტ ფილისტერების ხელში. კოტფრიდ კელერი, რომელსაც უწოდებენ შვეიცარიელ გოეტეს, და არა უსაფუძვლოდ, ერთხელ სწერდა ამის შესახებ: „გოეტეს კულტში არის თვისებური სახე ფარისევლობისა, რომელსაც იცავენ ნამდვილი და არა მოჩვენებითი ფილისტერები და vulgo პროფანები. ყველა საუბრებში ბატონობს წმინდა სახელი, ყოველ ახალ წერილს ხვდებიან აპლოდისმენტებით, თვითონ მას კი აღარ კითხულობენ და სხვ. ამგვარი მდგომარეობა ნაწილობრივ იქცევა მხდალურ სისულელეთ, მეორეს მხრივ კი, ისე, როგორც სარწმუნოებრივი ფარისევლობით, მისი საშუალებით ჰფარავენ სხვადასხვა ადამიანურ ნაკლოვანებებს, რომლებიც გამოსაჩენი არ არის“.

გერმანიის თანამედროვე ბურჟუაზიამაც სავსებით გაამართლა ეს მკაცრი სიტყვები, რომლებშიც შესატანია ერთი შესწორება. გოეტეს სახელით ახლა იფარება არა მარტო „ადამიანთა ნაკლოვანებები“, არამედ მთელი უძლურება და უბადრუკობა გერმანიის თანამედროვე ბურჟუაზიისა, რომელიც ვერსალის და იუნგის ბორკილებისაგან თავის დასაღწევად ხან საფრანგეთის, ხან ინგლისისა და ხან ამერიკის ბანკირების წინ ხოხავს მუხლით, რომელსაც სულს უხუთავს გამოუვალი ეკონომიური კრიზისი. თანამედროვე გერმანელი ფილისტერები გოეტეს სახელის სიდიადით ცდილობენ დაჰფარონ გერმანიის დღევანდელი მწარე სინამდვილე, მოაჩვენონ მასებს, რომ „გერმანული სული“ კვლავ ძლიერია, რომ თითქო ბრიუნინგ-გინდენბურგს ძალუძთ გამოიყვანონ გერმანია დღევანდელ ჩიხიდან. იმ მიზნით, რომ უფრო სრულად გამოიყენონ გოეტეს დიდი სახელი ბერლინის პოლიციის უფროსმა სოციალ-დემოკრატმა გრჟეზინსკიმ ბურჟუაზიის მოთხოვნით გოეტის დღეებში აკრძალა პროლეტარული კრიტიკოსების გამოსვლები და მოხსენებები. ბურჟუაზიამ ჩააჩუმა პროლეტარული საზოგადოებრივობა, რომ პროლეტარიატისათვის წაერთვა საშუალება მიეთითებია გოეტეს შემოქმედებაში იმაზე, რაც დიადი და უკვდავია მასში. იმაზე, რასაც პატივს სცემდენ და აფასებდნენ პროლეტარიატის დიდი მასწავლებლები მარქსი და ენგელსი.

რათ იგონებს ბურჟუაზია გოეტეს დიად სახელს, რას სცემს იგი პატივს მის შემოქმედებაში? რით არის ძვირფასი გოეტე პროლეტარიატისათვის, რას აფასებს იგი მის შემოქმედებაში, რათ აღნიშნავს მის ხსოვნას სოციალიზმის მშენებელი ჩვენი ქვეყანა?

რომ უპასუხოთ ამ კითხვებზე საჭიროა მოკლეთ მაინც გავეცნოთ გოეტეს ბიოგრაფიას, მისი შემოქმედების მთავარ მომენტებს. ის დაიბადა ეპოქაში, როცა გერმანია დაქუცმაცებული იყო პოლიტიკურად, ჩამორჩენილი იყო ეკონომიურად. ბურჟუაზიას კიდევ არ ჰქონდა შეცნობილი თავისი თავი, როგორც კლასს. იგი უკმაყოფილო იყო არსებული ფეოდალური წესებით, მაგრამ მოწინავე ინგლის-საფრანგეთის ბურჟუაზიისაგან განსხვავებით იგი მიზნად ისახავდა არა იმდენად ამ წყობილების დამხობას, არამედ მასში შეზრდას, მის უმტკივნეულოდ შეცვლას თავისი ინტერესებისა და იდეალების მიხედვით. გოეტეს შემოქმედებას. თუ ფაუსტის მეორე ნაწილს არ მივიღებთ მხედველობაში, მთლიანად ახასიათებს გერმანიის იმდროინდელი ბურჟუაზიის ეს ორჭოფობა, შეუსაბამობა მის კლასობრივ ინტერესებსა და ამ ინტერესების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლის საშუალებებს შორის. თავისი ეკონომიური ძლიერების გაშლისათვის მისთვის საჭირო იყო განთავისუფლება ფეოდალურ ხუნდებისაგან, ძალაუფლების დაპატრონება, მაგრამ ფეოდალიზმი თავისით არ დასთმობდა ხელისუფლებას. ბრძოლისათვის, რევოლიუციისათვის კი გერმანიის ბურჟუაზიას არ გააჩნდა არც სურვილი და არც ძალა. იგი თანაუგრძნობდა თავისუფლების იდეას, მაგრამ უარყოფდა რევოლიუციას. გოეტემ მხატვრულის სიცხადით გამოხატა ეს ორჭოფობა თავისი დროის გერმანული ბურჟუაზიის. მისი ფრიც ფონ-ბერლიხინგენი სათავეში უდგება მეამბოხე გლეხებს, მაგრამ როცა საქმე მივა ნამდვილ რევოლიუციამდე, განზე გადგება. „გრიგალისა და შეტევის პერიოდის“ ზოგიერთმა სხვა წარმომადგენლებმა შესძლეს კიდევ უფრო შორს წასვლა რადიკალიზმის გზაზე (მაგ. შილლერმა), მაგრამ გოეტემ, რომელმაც ჩქარა თავისი ბედი დაუკავშირა ვეიმარის პატარა სამეფოს მფლობელს და მის მინისტრად იქცა, ჩქარა მერყევ ბურჟუაზიულ რევოლიუციონერობაზეც აიღო ხელი, არსებულ წყობილებასთან შერიგების და მისი აღიარების ქადაგების გზას დაადგა, როგორც ენგელსი ამბობდა, გერმანიის უბადრუკობამ დაამარცხა იგი. გერმანიის ფილისტერები, ძველნი და თანამედროვენი პატივს სცემენ სწორედ ამ გოეტეს, ვეიმარის ჰერცოგის მინისტრს, გარემოსთან შეგუების და შერიგების მქადაგებელს, კაცს, რომელმაც, თავისი გენიალობის მიუხედავათ, ვერაფერი გაიგო საფრანგეთის რევოლიუციის, რომელმაც უარჰყო და დაჰგმო იგი (საფრანგეთის დიდი რევოლიუცია).

მაგრამ გოეტე არ იქნებოდა დიადი შემომქმედი, რომ ის ბოლომდე და მთლიანად შერიგებოდა გერმანიის უბადრუკობას.

ფრიდრიხ ენგელსი საშინელის სიმკაცრით ილაშქრებდა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ვერ გაეგო გოეტეს შემოქმედების ორჭოფული ხასიათის მიზეზი, ვინც გოეტეს ცხოვრებასა და შემოქმედებას იხილავდა გერმანიის უბადრუკი ცხოვრებისაგან განცალკევებით, ვინც ცდილობდა გოეტე გამოეყვანა მხოლოდ ვიწრო ფილისტერად და ჩქმალავდა იმას, რაც დიადი და უკვდავია გოეტეში: მისი მხნეობით და იმედით აღსავსე იმედს მომავლისას, უბადრუკი სინამდვილის უარყოფას, ფაუსტის ავტორს. ეს ფილისტერები, რომლებიც ამახინჯებდნენ გოეტეს სახეს, განზრახ ივიწყებდნენ იმას, რომ გოეტეს სძაგდა უბადრუკი სინამდვილე, რომელშიაც მას უხდებოდა ცხოვრება და მუშაობა, ამ უბადრუკ სინამდვილისაგან ის გაიმიჯნა თავისი წასვლით ესთეტიზმში. და ბოლოს, მან სცადა ფიზიკურად გაქცეოდა ამ სინამდვილეს, გავიხსენოთ თუგინდ მისი მოგზაურობა იტალიაში (მოგზაურობა, რომელსაც გოეტეს თითქმის ყველა ბიოგრაფები გაქცევას უწოდებენ), მაგრამ პრაქტიკულად განთავისუფლება ამ უბადრუკ სინამდვილისაგან, კავშირის გაწყვეტა მასთან მან ვერ შესძლო. იგი დაბრუნდა ვეიმარის ჰერცოგის კარზე, მიუხედავად იმისა, რომ მას თავისი გაქცევისათვის მრავალი უსიამოვნების გადატანა მოუხდა. აქ დაამთავრა მან „ფაუსტი“, თავისი შემოქმედების ნამდვილი ძეგლი, რომელშიც მისმა პროტესტმა არსებული უბადრუკი ცხოვრების წინააღმდეგ, უკეთესი მომავლის რწმენამ ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება ჰპოვა. ფაუსტი, რომელსაც აჩნევია გოეტეს ორჭოფული, მერყეობით აღსავსე ბუნების დაღი, თავისი სიცოცხლის დასას-



რულში თავისუფლდება ამ მერყეობისაგან, იშორებს ინდივიდუალიზმის ხუნდებს და ხსნას ხედავს კაცობრიობის გარდაქმნაში კოლექტიური შრომით, ბრძოლაში ცხოვრების უკუღმართობასთან.

Так здесь возникнет край эдемский мой,
И пусть о самый вал стучит прибой!
Где ж он в плотине путь себе прогложет,
Содружный труд сейчас разрыв заложит,
Мне эту истину открыли годы,
В том смысл всей мудрости людской:
Лишь тот достоин жизни и свободы,
Кто день за днем за них вступает в бой.

გოეთეს ადრინდელი გმირები (ვერტერი და სხვ.) გამოსავალს უკუღმართ სინამდვილიდან ხედავდენ სიცოცხლიდან წასვლაში, სიკვდილში. ფაუსტი კი გამოსავალს ხედავს ბრძოლაში თავისუფალი შრომისათვის. უბადრუკ სინამდვილის გარდაქმნაში ბრძოლით. სწორედ ეს მომენტი გოეტეს შემოქმედებისა აკავშირებს მას ჩვენს სინამდვილესთან, იგი უზრუნველჰყოფს მის უკვდავებას და პატივისცემას გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

ფრანც მერინგი ოდესლაც სწერდა გოეტეს შესახებ:

„ის დღე, როცა დაემხობიან გაბატონებული კლასები და გერმანიის ხალხი განთავისუფლდება ეკონომიურად და პოლიტიკურად, მხოლოდ ეს დღე იქნება დღე ამ გენიალური მხატვარის უდიდესი ზეიმისა“. საბჭოთა კავშირის პროლეტარები ანხორციელებენ ამ სიტყვებს. პროლეტარიატი უარყოფს რა ყველაფერს რაც წვრიმალი, ფილისტერული, კონტრრევოლიუციონური იყო გოეტეში, იღებს მისგან იმას, რაც იყო დიადი, პროგრესიული მის შემოქმედებაში. პატივს სცემს გოეტეს—ავტორს ფაუსტისას, რომელმაც განიზრახა ამქვეყნიური უბადრუკობის მოსპობა, ახალი ცხოვრების შექმნა, რომელმაც ცხოვრების და თავისუფლების ღირსად სცნო მხოლოდ ის, ვინც ყოველდღიურად იბრძვის მისთვის. ასეთ კლასს წარმოადგენს მხოლოდ პროლეტარიატი, რადგან ბურჟუაზია უკვე დიდი ხანია ალარ არის პროგრესიული ძალა, ის ილრჩობა გამოუვალ წინააღმდეგობათა ხლართში, იგი წარმოადგენს დაბრკოლებას კაცობრიობის წინსვლისა და უკეთესი ცხოვრების შექმნის გზაზე. ამიტომ არის, რომ იგი ებღაუჭება ფილისტერულ, კონტრრევოლიუციონურ მომენტებს გოეტეს შემოქმედებაში. მაგრამ ამაოთ! გოეტეს დიდი სახელის გამოყენებითაც ვერ შესძლებს იგი იმ წყვდიადის განათებას, რომელშიაც იგი იმყოფება. მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის გუგუნი ყოველდღიურად ძლიერდება. გამარჯვებული მსოფლიო პროლეტარიატი კი გოეტესაგან (იღებს) მიიღებს მხოლოდ მხნე ძახილს უკეთესი ცხოვრების შექმნისაკენ. ცხოვრების, რომელსაც დედამიწის ერთ მეექვსედზე უკვე ჰქმნიან საბჭოთა კავშირის პროლეტარები.

ე. ბარდე.

*) !ფაუსტი“, II ნაწ. ვ. ბრიუსოვის თარგმანი.

გოეტე

# ციკლიდან „სიმღერები მეგობრულ წრეში“

## სუფრული

თვით არ ვიცი რა რიგი
მწვევაა აღტაცება:
თითქოს ვარსკვლავებისაკენ
სული მიესწრაფება.
მაგრამ მართალი გითხრათ,
მე ვარჩევ აქ დარჩენას,
თქვენთან ერთად სუფრაზე
სმას, შექცევას, მოლხენას.

—:—

ნუ გიკვირთ მეგობრებო
ჩემი უცნაურობა:
კარგია ეს ქვეყანა,
კარგი არის ცხოვრება.
თქვენ წინაშე ფიცსა ვსდებ,
შევასრულებ მტკიცედა,—
მე არ გავიპარები
სამარცხვინოდ აქედან.

—:—

ჩვენ შემთხვევამ შეგვყარა:
თქვენ ეს დააფასევით.
აწკრიალეთ ჭიქები
მგოსნის შაირს აჰყევით.
განშორება მოგველის
ყველა წავა ცალ-ცალად:
ჭიქა, ჭიქას მივარტყათ,
სადღეგრძელო დავცალოთ.

—:—

ამ სასმისით მე—იმ ქალს
მოვიგონებ ტრფობითა.
ყველამ თქვენი ტრფიალნი
ადღეგრძელეთ გრძნობითა
თუ კი ის მიმიხვდება
ვისთვისაც ვიტანჯები,
და მანიშნოს ალერსი,
გადამყაროს დარდები.

—:—

მეგობრებო ამ ჭიქით
თქვენი მსურს დღეგრძელობა,
თქვენთან ბევრჯერ მიგრძვნია
სიხარული, მშვიდობა;
ჩვენ ერთად განვიცდიდით
დროებს საშინელებსა;
ჭიქით ხელში გადიდებთ,
ახლებსა და ძველებსა.

—:—

წამოვიდა ღვართქაფი,
ფართოვდება, დიდდება
ერთგულ მეგობრების წრეს
ჩემი ქება-დიდება.
მეგობრების წრე არის
ურყევი და მაგარი,—
იმედის მზე გვიღიმის,
თუ გვექადის ავდარი.

—:—

კვლავ ვიღებ სადღეგრძელოს
მეგობართა სხვა წრისა
და ხმა მაღლა ვუსურვებ
გამარჯვებას და ლხინსა.
ცის ვარსკვლავთა გადათვლა
განა დაიჯერება...
მთელ ქვეყანას ვუსურვო
მინდა ბედნიერება.

თარგ. გრიგოლ ცეცხლაძის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეკონომიური კრიზისის ბრჭყალებში



სურათებზე—ბერლინის მახლობლად ჭაობიან სოფ. ვიგენში დასახლდა 65 უმუშევრის ოჯახი, რომლებიც საშინელ გაჭირვებას განიცდიან. ერთ-ერთი ასეთი ოჯახი 9 სულისაგან შემდგარი თავის „ბინაში“. შემდეგ სურათზე ნაჩვენებია კალიფორნიელი უმუშევარი თავის საცხოვრებელთან. იმავე კალიფორნიაში თვითონ აგებენ თავისთვის საცხოვრებელ ადგილებს.

# ჰეინეს სამშობლოში

(ნარკვევი)

## 1. ჰეინეს ოთახი.

„მშვენიერია ქალაქი დიუსელდორფი, და როცა მას იგონებ შორიდან, მით უმეტეს თუ შემთხვევით იქ დაბადებულხარ,—დიდათ გსიამოვნებს.. მე დავიბადე იქ და განსაკუთრებით აღვნიშნავ ამ გარემოებას, რადგან შეიძლება ჩემი სიკვდილის შემდეგ ქალაქებმა —შილდა, კრევინკელ, პოლკვიც, დიულენ, გეტტინგენ და შეკაენშტედტ—დაიწყონ დავა იმის შესახებ, თუ რომელს უნდა ჰქონდეს პატივი იწოდებოდეს ჩემ სამშობლოდ“. ასე სწერდა ჰენრიხ ჰეინე 1826 წ. არც ერთ იმ ქალაქს, რომელზედაც სწერდა ჰეინე, და არც მის სამშობლოს—„მშვენიერ“ დიუსელდორფს, რომელიც არის ერთი ფრიად კულტურულ ქალაქთაგანი რეინზე,—გარდაცვალებიდან 75 წლის თავზედაც კი არ დაუდგამთ პოეტისათვის ძეგლი.

მისი სახელის გარშემო დღემდე სწარმოებს გაცხარებული ბრძოლა.

ბურჟუაზიული გერმანია, მთელი გერმანული მეშჩანობა და პოლიტიკური ალფონსი—გიტლერი, რომელთა თანამედროვეებს ისე ოხედენილად ამათრახებდა ჰეინე, ანთხევდნენ და ანთხევენ ნაღველს და ტალახში სვრიან პოეტის ხსოვნას ეს კიდევ ცოტაა, ფაშისტებმა მოითხოვეს ჰამბურგში (ალტონა) და ფრანკფურტში დადგმული პოეტის ძეგლების აღება.

დიუსელდორფის ბიბლიოთეკაში, ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ეცვა ჭუჭყიანი ხალათი, გვიჩვენა ჰეინეს ოთახი. ჩვენს შეკითხვაზე, რატომ არ არის დიუსელდორფში ჰეინეს ძეგლი, ის გაჩუმდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ გვიპასუხა:

— მე დარწმუნებული ვარ, რომ დიუსელდორფში დასდგამენ ძეგლს.

— მოსალოდნელი იყო, რომ პოეტის სამშობლო ქალაქში ის დიდი ხანია დადგმული იყო.

— იცით, მდგომარეობა.. ჰეინეს სახელის გარშემო ბრძოლაა,—დაიბნა ის.

ბიბლიოთეკის უკანა ოთახი. უკანასკნელ თაროებზე დალაგებულია ჰეინეს შესახებ ლიტერატურა ყველა ენებზე. გრძელ აივანში, რომელსაც მივყევართ ჰეინეს ოთახში, კედლებზე, არის პოეტის პორტრეტ., მათ შორის მხოლოდ ორი-სამი უცნობი მხატვრების, რომელნიც არსად არაა გადაბეჭდილი. იქვე არის ფრანკფურტში დადგმული ძეგლის რეპროდუქცია.

გადავდივართ პაწაწინა ერთფანჯრიან ოთხკუთხ ოთახში. შუაში არის ჰეინეს დროის მაგიდა და სავარძლები, მკვდარი პოეტის ნიღაბი და თუთიყუშის ფეტუში. თაროებზე დალაგებულია პოეტის პატარა ბიბლიოთეკა.

— ჩვენ აღმოვაჩინეთ მის წიგნებში საფრანგეთის რკინის გზის ბილეთი,—აგვიხსნა ახალგაზრდა კაცმა და გვიჩვენა ბილეთის კუპონი. დროს გამო გახუნებულ კუპონზე წარწერილი იყო: „ჰ. ჰეინე“.

ყურადღებას იპყრობს პოეტის მშვენიერი მარმარილოს ბიუსტი, რომელიც ეკუთვნის ერთ დიუსელდორფელ მოქანდაკეს. ჩვენ ვერ მოვასწარით კარგად დაგვეთვალიერებია ჰეინეს ბიბლიოთეკა, ვინაიდან ახალგაზრდა კაცს ეჩქარებოდა, როგორც გადმოგვცა ჩვენს მისვლამდე რაღაცას წეპავდა და იმიტომ ჰქონდა ხალათი გასვრილი.

— არსებითად რომ ვთქვათ, ჩვენ არა გვყავს ჰეინეს ოთახის ხელმძღვანელი, ყველა ბიბლიოთეკებში ამცირებენ შტატებს,—დაიწყო მან თავის მართლება.

— მართალია ჰეინეს ყველა ძეგლები აიღეს?—ჰკითხა ვიღაც ჩვენგანმა.—ახალგაზრდა კაცი გაწითლდა და დაიბნა.

— არა მგონია,—წაილუღლუღა მან.

— როგორ, ფაშისტები გიტლერის მეთაურობით ხომ დაემუქრენ, რომ თვით დაანგრევენ ძეგლებს, თუ იმათ არ მოხსნიან!

— ვერაფერს გეტყვით ამის შესახებ,—ცივად უპასუხა ახალგაზრდა კაცმა, რომელიც შეჩერდა აივანში. მან თავისი ქცევით გვანიშნა, რომ მასთან საუბარი უკვე დამთავრებულია, ჩვენ დავბრუნდით მთავარ ბიბლიოთეკაში. სამკითხველო მოთავსებულია დიდ დარბაზში, რომელიც მორთულია სამეცადინოთ მოხერხებულ მაგიდებით. დარბაზის ბოლოში, ამაღლებულ ადგილას, წამომჯდარი იყო ქალი, ვებერთელა დახვეული ჭაღარა თმით, როცა მან პირველად გაიგონა, რომ ჩვენ საბჭოთა რუსეთიდან ვიყავით, სთქვა:

— მე ვყოფილვარ იქ, მე ვიცნობ რუსეთს.

მაგრამ როცა მან გაიგო, რომ ჩვენ გვინდა დავათვალიეროთ ჰეინეს ოთახი, მისი პასუხი შეიქნა უფრო ლაკონიური და ცივი:

— მე არა მყავს ამისათვის სპეციალური ხალხი... ჰეინეს ოთახი ითვლება დახურულად..

— მაგრამ დიუსელდორფის გზის მაჩვენებელში აღნიშნულია არა თუ დღეები, არამედ მიღების საათებიც კი,—განვაცხადე პროტესტი.

დედაბერმა აღარ გვიპასუხა, ის ჩასცქეროდა თავის კანტორის წიგნს.

— თქვენ დიდხანს დარჩებით დიუსელდორფში?—ნელი ხმით შეგვეკითხა ახალგაზრდა ქალიშვილი, რომელიც უსხდა მეორე მაგიდას.

— საღამომდე...

— ნუ ღელავთ მე თქვენ ყველაფერს მოგიწყობთ.

ის გაჰქრა და რამდენიმე წუთის შემდეგ გაგვაცნო ახალგაზრდა კაცი, რომელმაც დაგვათვალიერებია ჰეინეს ოთახი. როცა ჩვენ ისევ დავბრუნდით სამკითხველოში, ახალგაზრდა ქალიშვილი აღარ დაგვიხდა, და იძულებული შევიქენით ისევ დედაბერისათვის მიგვემართა..

— გაზეთებიდან ამონაჭრები?—ხელმეორედ შეგვეკითხა ის. და მისი თვალები სათვალეებიდან მტრულად მოგვაჩერდენ.

— ჩვენ გვინდა ვნახოთ გიტლერის ინტერვიუ ჰეინეს შესახებ.

— ჩვენ არ ვაძლევთ ამონაჭრებს,—მქისად გვიპასუხა დედაბერმა.

— რატომ? ჩვენში, ყოველ დიდ ბიბლიოთეკაში, რომელსაც აქვს სამეცადინო სამკითხველო დარბაზი, მოიპოვება ძველი გაზეთები, და ყველას შეუძლია ისარგებლოს.

— ჩვენ თქვენთან ერთად, გერმანიაში, ვართ და არა რუსეთში,—გვიპასუხა მან ისე მკაცრად და ხმამაღლა, რომ ბევრმა დარბაზში მყოფმა თავი მაღლა ასწია.

—:—

წიგნი, რომელშიაც სწარმოებს ჰეინეს ოთახის მნახველთა აღრიცხვა, წარმოადგენს უბრალო საკანტორო წიგნს, რომელიც იწყება 1907 წლიდან. ეს წიგნი გადმოგვცა ჩვენ იმ მოსამსახურე ქალიშვილმა. აღსანიშნავია, რომ ოთახის მნახველები უმრავლეს შემთხვევაში უცხოელები არიან—ფრანგები, ამერიკელები, ჰოლანდიელები და გერმანელი ინტელიგენცია, მოწაფეები, მასწავლებლები და მხატვრები. ომამდე იყო ბევრი რუსები და სხვა უცხოელთა შორის კი ყველაზე ნაკლები ინგლისელები. 1916 წ., 1920 წ. ომის წლებში მნახველების რიცხვი საზოგადოთ შემცირდა. 1921 წ. უცხოელების რიცხვი ისევ დიდია.

ახალგაზრდა ქალიშვილი მაგიდას უზის. ჩვენ დავუბრუნეთ მას წიგნი და მივეცით რამდენიმე კითხვა.

— ჩვენ გავღარიბდით,—გვითხრა მან.

— ყველა ბიბლიოთეკებში ეხლა მიდის შტატების შემცირება, თვითეული თანამშრომელი თითქმის ორმაგათ არის დატვირთული. სხვა ქალაქებში ბიბლიოთეკები ყოველ დღე არ მუშაობენ. არის ისეთებიც, რომელნიც სავსებით დახურეს.

— მოსამსახურეები?

— ნაწილს ამოკლებენ, ზოგიერთ ნაწილი მუშაობს რამდენიმე ბიბლიოთეკასა და სამკითხველოში. გერმანიის საქალაქო მეურნეობა საშინელ კრიზისს განიცდის, შტატებს ამოკლებენ. გერმანიაში 5 მილიონი უმუშევარია, მათ შორის 25.000 მასწავლებელია, და ეხლა ამათ მიემატება ახალი უმუშევრები—ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების მოსამსახურენი.

შემოვიდენ ახალი მკითხველები და ჩვენი საუბარი შეწყდა.

## 2. „კულტურული“ დიუსელდორფი

„დიუსელდორფი მშვენიერია,“—არა ერთხელ სწერდა ჰეინე, რეინის ნაპირების ულამაზეს ქალაქის შესახებ. დიუსელდორფი არის ერთი დიდათ კულტურული ქალაქთაგანი დასავლეთ გერმანიაში, იქ 432.400 მცხოვრებია 1925 წ. აღწერის მიხედვით. ახალი ქალაქის ქუჩები სუფთა და ლამაზია. ფართედ გაშლილან ქალაქის მოედნები, ხიდები რეინზე, მუზეუმები, გამოფენები, ვებერთელა პლანტაციები... მთელი ბურჟუაზიული დიუსელდორფი დიდებულია და შნოიანი, გარდა ძველი ქალაქისა, სადაც დაიბადა ჰეინე და სადაც მოწყენილად და სიღარიბეში ცხოვრობენ მუშები.

მართლაც ლამაზია ქალაქის ბაღი, რომელსაც არა ერთხელ იგონებდა ჰეინე და რომელზე გავლით ოდესღაც დიუსელდორფში შევიდა ნაპოლეონიც.

დიუსელდორფს უჭირავს ცენტრალური ადგილი რურის რაიონსა და ჩრდილოეთს შორის (ლითონის წარმ.); აღმოსავლეთში—ლითონის გადამმუშავებელ და საფეიქრო წარმოებასა და დასავლეთში—რეინის მარცხენა ნაპირის სამრეწველო რაიონის შორის. მილების ჩამომსხმელ მრეწველობის განვითარების მხრივ დიუსელდორფს უჭირავს პირველი ადგილი მსოფლიოში.. დიუსელდორფი დიდი ხანია ცენტრია და ისეთი ადგილი, სადაც არსებობენ უდიდესი ტრესტები, სინდიკატები და რურის უძლიერესი კონცერნები. უდიდესი ფოლადის სახლი (1.300 მოსამსახურეზე მეტი)—არის რეზიდენცია სამთო-მადნო მრეწველობის გიგანტიური დაწესებულების—ფოლადის ტრესტის და ის არის ამავე დროს მდიდარი რურის მპყრობელთა სიძლიერის ემბლემა. მაგრამ სამრეწველო კრიზისმა, და ამ ბოლო დროს ფინანსიურმა და საკრედიტო კრიზისმა, შეარყია თვით უმსხვილესი წარმოებანი და კონცერნები. ფოლადის და ნახშირის ტრესტები. ტისსენი და კრუპპი, და მთელი რურის მრეწველობა დავალებულია ისევე, როგორც მთელი სახელმწიფო, როგორც მთელი ბურჟუაზიული მსოფლიო. მძიმე ინდუსტრიის დავალიანება, თუჯისა და ფოლადის პროდუქციის დაცემა, მუშაობის შეჩერება ბევრ ქარხნებსა და მაღაროებში, და ამასთან ერთად შემცირება მუშათა კვირეებისა და დაწესებულებების დახურვა ერთი და ხან ორი კვირითაც ლისტმა კერძოდ, კრუპპმა, ტიესმა და სხვა „პატრიოტებმა“, რომელნიც ფინანსიურ დახმარებას უწევდენ ფაშისტებს (ნაც.-სოც.) გადაიტანეს თავიანთი ფულები საფრანგეთში. ისინი ფიქრობენ, რომ ეს უფრო საიმედოა..

ყოველ კვირაში და ხან ყოველდღე, ჩნდებიან უმუშევარ მუშების და მოსამსახურეების კოლონები. თქვენ იმათ დაინახავთ ყოველდღე დიუსელდორფის „კატაკომბებში“, ასე უწოდებენ მუშები იმ ჩაბნელებულ და ნესტიან ბინებს, სადაც უმუშევრებს ატარებენ რეგისტრაციაში და აძლევენ დახმარებებს, დაღვრემილი ფიგურები ადრე დილიდანვე ავსებენ ყველა შესავალ-გასასვალს ამ „კატაკომბებისა“, დგანან ჭერში ან ეყვინთებათ სკამებზე და საშინლად გაჭუჭყიანებულ კედლებთან, რათა მიიღონ საცოდავი დახმარება უმუშევ-

რობის გამო. ეს სახლი ეკუთვნოდა ფოლადის ტრესტს, ქალაქის ფაქტიურ პატრონს, და დაუთმეს ქალაქის თვითმართველობას უმუშევართა რეგისტრაციისათვის.

სამრეწველო კრიზისი, კაპიტალიზმის სიდამპლე, ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ არა მარტო გერმანიის, როგორც ძლიერ კაპიტალისტურ ქვეყნის დამარცხებაში, არამედ ყოველ მის ყოფაში და მისი კულტურის დაცემაში. უმუშევრობამ და გასაწყლებამ არა მარტო პროლეტარიატისა, არამედ წვრილ და ზოგჯერ საშუალო ბურჟუაზიისაც, გამოიწვია წიგნებით ვაჭრობის კრიზისი (აღარავინ ყიდულობს წიგნს). ბურჟუაზიულ გაზეთებს ლიტერატორთა შორის უმუშევრობისა და გალატაკების დასასაბუთებლად მოჰყავდათ მაგ.., როცა ერთი საკმაოდ ნიჭიერი მწერალი იძულებული იყო დაეგირავებია თავისი ჩადგმული კბა. ეხლა თვითმკვლელობის შესახებ ქრონიკები? ვის არ იპოვით აქ: ლიტერატორი, მასწავლებელი, მოსამსახურე... გაზებით თავისთავისა და მთელი თავისი ოჯახის მოწამვლა.

ბურჟუაზიულ დიუსელდორფში, რომელსაც ამკობენ თვალწარმტაცი ბუნება და უკანასკნელი მოდის მაღაზიების ვიტრინები, ყოველ წელს იმართება სამხატვრო გამოფენები, წრეულს ცნობილმა „მხატვართა რეინის ჯგუფმა“ მოაწყო თავისი ნაწარმოებთა გამოფენა. არც ერთი სურათი არ გაყიდულა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა პორტრეტი გამზადებული იყო საფოსტო ბარათებით და თავის ჩარჩოიანად ღირდა 5 მარკა (დაახლოებით 2 ნახ. მან.).

გამოფენის შესახებ გამართულ დისპუტზე, „რეინის ჯგუფის“ ყველა წევრი ლაპარაკობდა გერმანიაში ხელოვნების დაცემის შესახებ, ისინი ლაპარაკობდენ, რომ მხატვრები განიცდიან საშინელ სიღარიბეს, რომ ისინი იძულებულნი არიან მიმართონ ხალტურას, რათა არ მოკვდენ სიმშილით, ფაშისტებმა თავიანთ გამოსვლებში შეჰპირდენ „მესამე იმპერიას“ მხატვრებისათვისაც, სოციალ-დემოკრატებს მოჰყავდათ მაგალითები თავისი პარტიის კულტურული მუშაობის შესახებ და შეჰპირდენ მხატვრებს თავიანთი დახმარება და ხელისშეწყობა. კომუნისტების წარმომადგენელმა ცოტა ილაპარაკა, მაგრამ ყველა მხატვრები უსმენდენ მას ყურადღებით.

— ჩვენი პარტია არავითარი პასუხისმგებელი არაა იმ მდგომარეობისათვის, რომელშიაც იმყოფებიან ამხანაგი მხატვრები. ჩვენ ვცხოვრობთ დიუსელდორფის არა ბურჟუაზიულ ნაწილში, არამედ მუშათა რაიონში. სადაც იმყოფებიან უმუშევრები, მათხოვრები და მუშა-ქალები და ქალიშვილები, რომელნიც იძულებულნი არიან თავისი სხეული გაჰყიდონ. ჩვენ ვეუბნებოდით და ვეუბნებით „რეინის ჯგუფის“ მხატვრებს, რომ ჩვენ ვართ ერთად-ერთი მუშათა პარტია გერმანიაში და ჩვენ კარგად ვიცით, მხატვრების მიერ დასმული ხელოვნების საკითხები მხოლოდ საბჭოთა გერმანიას შეუძლია განახორციელოს. არაფერს არ უნდა გამოელოდეთ თქვენ ეხლანდელ მართველობისაგან, ე. ი. ბურჟუაზიისაგან და მათი ხელქვეითი სოციალ-დემოკრატებისაგან. არაფერს არ უნდა მოელოდეთ თქვენ არც გიტლერის მომხრეებისაგან და მათი „მესამე იმპერიიდან“! ნაქები „კულტურული“ დიუსელდორფი მართებულად ვერ ითმენს არა თუ ჩვენ კომუნისტებს, რომელნიც არ ვმალავთ, რომ გვინდა დავამხოთ კაპიტალისტური სამყარო! ისინი დღემდე მტრობენ და ეშინიათ მკვდარის, მაგრამ ჩვენთვის ცოცხალი გენიალური პოეტის ჰაინრიხ ჰეინესი, რომელიც თუმცა ჩვენი იყო არა ყოველთვის და ბევრში ეკუთვნოდა მათ, მაგრამ რომელიც ამათრახებდა მეშჩანობას და ბურჟუის დონის სიბილწეს, რომელმაც შეაქო სილეზიის ფეიქართა ბრძოლა და მისი სატირებიც [illegible] და ეთაყვანებიან გერმანიის მუშები. ხელოვნებას არ შეუძლია იყოს კლასის გარეშე, როგორც ამბობენ ჩვენი მოწინააღმდეგენი. გერმანიაში მხატვრები სიმშილობენ, გერმანიაში ეცემა კულტურული დონე და საბჭოთა რუსეთში ერთად-ერთ ქვეყანაში, სადაც ხელისუფლება მუშებისა და გლეხების ხელშია, ხდება ხელოვნებისა და მეცნიერების აყვავება. იქ მხატვრები, მწერლები და სამეცნიერო მუშაკები, არა თუ არ სიმშილობენ, არამედ პროლეტარიატთან ერთად აშენებენ ხუთწლედს“.

ამ სიტყვებს აღფრთოვანებით შეხვდა „მხატვართა რეინის ჯგუფი“, რომელიც სიმპატიით უცქერის კომპარტიას.

კ—ი.

# ვიბრძოლოთ სწავლების პოლიტექნიზაციისათვის

სკოლების პოლიტეხნიზაცია დღეს მოქცეულია პარტიული, კომკავშირული და მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღების ცენტრში.

პარტიის მტკიცე ლენინური ხელმძღვანელობით ჩვენი სკოლები დღეს უკვე გადაიქცენ პოლიტეხნიკურ სკოლებად, რომლებსაც მართალია ჯერ კიდევ ბევრი უარყოფითი და სუსტი მხარეები გააჩნიათ, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ ამცირებს მის უდიდეს ღირსების და წარმატებების ეფექტიურობას.

სკოლა ნაცვლად ბურჟუაზიის კლასიური ბატონობის იარაღისა ჩვენს პირობებში წარმოადგენს კლასებად დაყოფის და მის წარმომშობ მიზეზების მოსპობის და კომუნისტური საზოგადოების აშენების უძლიერეს იარაღს. სკოლა სწრაფად ითვისებს განვითარების ყველა ახალ დეტალებს და იგი სწრაფადვე გადასცემს მოზარდ თაობას ყველა ამის ცოდნას. ამიტომ ჩვენს სკოლაში აღზრდა უაღრესად კლასიური, უაღრესად პარტიული უნდა იყოს. ჩვენი სკოლა ახალთაობას უნდა ზრდიდეს კომუნისტურად, იმ იდეების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია **მარქსის, ენგელსის, ლენინის და სტალინის** მოძღვრებებში. ახალგაზრდობის მარქსისტულ - ლენინურად აღზრდა. მისი პოლიტეხნიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჰორიზონტის გაფართოება, თვითეული დისციპლინის პოლიტეხნიკურად სწავლება, სწავლების თანდათანობით გაჟღენთვა პარტიულობით და მისი მჭიდროდ დაკავშირება სოციალისტური მშენებლობის ყოველდღიურ პრაქტიკასთან — აი საბჭოთა სკოლის ამოცანები, რომელსაც მას უყენებს სოციალიზმის პერიოდის გაზრდილი მოთხოვნილებები. მოზარდი თაობა უნდა შევაიარაღოთ სამრეწველო წარმოების მეცნიერული საფუძვლების ღრმა ცოდნით. ყველა მოზარდი, ყველა ბავშვი უნდა შევაიარაღოთ თანამედროვე შრომით, კულტურით, მივცეთ წარმოების სხვადასხვა დარგის, სხვადასხვა ტეხნიკურ პროცესს შორის კავშირის გაგების საშუალება. თვითეულ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის შინაგანი ორგანიზაციული ცხოვრების მრავალფეროვანების ღრმად შესწავლისა და გაცნობის საშუალება. „პოლიტეხნიკურმა განათლებამ მოზარდი თაობა უნდა შეიპყროს სოციალისტური სამეურნეო მშენებლობის რომანტიკით და მისცეს საშუალება თავიანთი ძალისა და მოხერხების მიხედვით შეუერთდენ დიად სოციალისტურ აღმშენებლობას და თვით პრაქტიკაზე შეისწავლონ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგები“.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ პოლიტეხნიკური განათლების პრობლემა ჩვენი კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამეურნეო პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს. პოლიტეხნიზაციისათვის უნდა იბრძოლოს ყველა იმ ორგანიზაციებმა, რომლებიც იბრძვიან სოციალიზმისათვის. ძირითადში ყალბი და ოპორტუნისტული მტკიცება იმის შესახებ, რომ თითქოს სკოლების პოლიტეხნიზაცია მხოლოდ განათლების კომისარიატის საქმე იყოს, როგორც ეს სჩვევია ჩვენს ზოგიერთ საბჭოთა მეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საკითხის ასე დაყენება პოლიტეხნიზაციის ნამდვილი მნიშვნელობის შეუფასებლობა და უარყოფაა. უნდა გვახსოვდეს, რომ **„პოლიტეხნიზაცია მარტო განსახკომის და მისი ორგანოების საქმეს კი არ შეადგენს, არამედ ის ისეთი საქმეა, რომლითაც უაღრესად დაინტერესებულია მთელი ჩვენი ქვეყანა და უპირველესად ყოვლისა —ს.მ.უ.ს., მიწსახკომი, პროფკავშირები და თვით მოზარდი თაობა“** (პოლიტეხნიკური განათლების პირველი ყრილობის დადგენილებიდან). **ლენინი** თავის ცნობილ შენიშვნებში ამხ. **ნ. კრუპსკაიას** თეზისებზე პოლიტეხნიზაციის შესახებ ჯერ კიდევ 1920 წელში ავალებდა ყველა პარტიულ-კომკავშირულ და საბჭოთა ორგანიზაციებს: **„გადაუდებელ ამოცანად დავსახოთ დაუყოვნებლივ გადასვლა პოლიტეხნიკურ განათლებაზე ან, უფრო სწორად, დაუყოვნებლივ განხორციელება მთელ რიგ ამჟამად ხელმისაწვდომ ნაბიჯებისა პოლიტეხნიკურ განათლებაზე გადასასვლელად“** (ლენინი). მაგრამ სამწუხაროდ ჩვენში დღემდე მოპოვებიან ზოგიერთი ორგანიზაციების ისეთი ხელმძღვანელები, რომლებსაც სკოლების პოლიტეხნიზაციისათვის ბრძოლა სასხვათაშორისო და ხვალინდელ (!) საქმედ მიაჩნიათ. მაშინ, როდესაც **ლენინი** აქ მცირედ დაყოვნებასაც დანაშაულად სთვლიდა, არა თუ მის „შემდეგისათვის გადადებას“. ამ შემთხვევაში ჩვენი ამოცანა იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ მთელი ჩვენი სისასტიკით დავარტყათ ასეთ განწყობილებებს.

სკოლების პოლიტეხნიზაცია პირველად ყოვლისა გულისხმობს: სკოლისა და წარმოების, სკოლისა და კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მჭიდროთ დაკავშირებას. სკოლისა და წარმოების დაკავშირება ისე არ უნდა იქნას გაგებული, რომ თითქოს ჩვენ მოვითხოვთ სკოლის წარმოებაში გათქვეფას ან გაერთიანებას — არა. სკოლების წარმოებებთან დაკავშირება ხდება განსაკუთრებული ხელშეკრულების საფუძველზე, სადაც გათვალისწინებული იქნება როგორც წარმოების, ისე სკოლის ადმინისტრაციის კონკრეტული ვალდებულებანი. სკოლისა და წარმოების დაკავშირება უნდა ხდებოდეს გეგმიანად. იგი უნდა ეტეოდეს იმ ფარგლებში, რომელსაც მას უკარნახებს სკოლის ინტერესები და მოწაფის ასაკი. მოწაფე, რომელიც მეტის მეტად ცნობის მოყვარეა — გატაცებულია იმით, რომ მხოლოდ ერთხელ თვალი გადაავლოს წარმოებას, მანქანებს, დაზგებს. იგი როდესაც მას დაათვალიერებს და გასინჯავს შთაბეჭდილებასაც ამთავრებს, მაგრამ ამ შემთხვევაში, რომ მოწაფეში წარმოების შესწავლისადმი აღძრული ინტერესი არ შევასუსტოთ—მასწავლებელი ფხიზლად უნდა იდგეს.

თეორიული და პრაქტიკული სწავლება აქ ორგანიულადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მთელი სასკოლო მუშაობაც მარქსისტულ-ლენინური თეორიის ამ აუცილებელ მოთხოვნილებაზეა დაფუძნებული. მაგრამ აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ მთელ რიგ სკოლებში საკითხები ასე როდი წყდება. ხშირად სკოლის წარმოებაზე მიმაგრება ფორმალურ ხასიათს ატარებს. ზოგიერთ სკოლებთან სახელოსნოები გახსნილია. მაგრამ შიგ არავითარი მუშაობა არ სწარმოებს — არის აგრეთვე იმის შემთხვევებიც, რომ სკოლაში დარღვეულია თეორიული და პრაქტიკული სწავლების ერთიანობა და სხვ.

პოლიტეხნიზაციის გატარებას სკოლაში აგრეთვე უზრუნველყოფს **საწარმოო პრაქტიკის სწორი ორგანიზაცია.** საწარმოო პრაქტიკა ჩვენს სკოლებში უნდა გადავაქ-

# ახალი კადრები სოციალისტურ მშენებლობას



ზევიდან—ქვევით: ბუნებისმეტყველების გაკვეთილი მესამე ინტერნაციონალურ სკოლაში (ბაქო), რომელიც ყველაზე კარგად ატარებს სკოლების პოლიტეხნიზაციას; კ-მოს სახ. საფ. საქ. სკოლის მოწაფე პოლისევიჩი ამზადებს გამბის სათეს მანქანის მოდელს; კამოს სახ. საფ. საქ. სკოლის მოწაფე მარტიროსოვი დაზგაზე მუშაობის დროს. ბაქოს მესამე ინტერნაციონალური სკოლა—პრაქტიკული მეცადინეობა საზეინკლო სახელოსნოში; რკინის გზის მერვე საფ. საქ. სკოლა (თბილისი)—პირველი საჩვენებელი მუშაობა საზეინკლო სახელოსნოში; რკინის გზის მეათე საფ. საქ. სკოლა. მეცადინეობა საზეინკლო საქმეში.

ციოთ საწარმოო სწავლებათ, მაგრამ ეს ერთი წუთითაც არ ნიშნავს იმას, რომ საწარმოო პრაქტიკა გავაიგივოთ პოლიტეხნიზმი. პოლიტეხნიზმი შეიცავს საწარმოო პრაქტიკას, ეს უკანასკნელი მისი ორგანიული ნაწილია, მაგრამ სკოლაში პოლიტეხნიზმის საწარმოო პრაქტიკის სახით შემოღება უხეში შეცდომა და პარტიის პოლიტიკის დამახინჯებაა ამ დარგში. სამწუხაროდ ჩვენს ზოგიერთ საშუალო და უმაღლეს სკოლებში დღემდე კიდევ აქვს ადგილი ასეთ მავნე დამოკიდებულებებს, რასაც ეხლავე უნდა მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება.

სკოლაში ნამდვილი პოლიტეხნიზმის გატარება დამოკიდებულია სასწავლო პროგრამაზე. ჩვენ ვერავითარ პოლიტეხნიკურ პედპროცესს ვერ შევქმნით ისე თუ არ გვექნება მარქსისტულ ლენინური პოლიტეხნიზმის პრინციპებზე შედგენილი სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები.

ტეხნოლოგიურ-პოლიტეხნიკური სწავლების პროგრამები წარმოადგენენ მრეწველობის და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების გაერთიანებას, რომელიც ცხადია მეტ მომზადებულ და განვითარებულ მასწავლებელს მოითხოვს.

პროგრამაში მკაფიოდ უნდა იყოს მოცემული თეორიული სწავლების სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ორგანიულად დაკავშირების ყოველნაირი საშუალება. პროგრამა უნდა შეიცავდეს თეორიული და პრაქტიკული სწავლების ერთნაირობას.

სახ. განათლების დარგში, მთელი სასკოლო მუშაობის ნამდვილად გარდაქმნით ამხ. სტალინის მითითების საფუძველზე, სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლით სკოლების მუშაობაში—ჩვენ მოვიპოვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს სკოლების მარქსისტულ-ლენინურ პოლიტეხნიზაციის ნამდვილად გატარებაში და სკოლების მუშაობის ხარისხისათვის ბრძოლაში.

ალ. ღლონტი.

რეზო კლდიაშვილი

# ლ ა ზ ა რ ე

## ერთი თავი მოთხრობიდან „ფერ-ლი"*)

სოფელში ლაზარე გამოჩნდა. ლაზარე სვავივით იყო. მკვდრებზე ნადირობდა. მიცვალებულის დამბანი, სახადით გარდაცვლილის დამმარხავი. იქ, სადაც მისვლას ვერავინ გაბედავდა, ლაზარე თამამათ შედიოდა და ჭირისუფალს ხელს უმართავდა. მისი ხელობა ეს იყო.

წარსულში ლაზარეს მრავალი მშიერი დღე ჰქონდა. ხანდახან წელიწადები ისე გაივლიდა, არაფერი საქმე გასჩენია. სად იყო, რითი ცხოვრობდა, არავინ იცოდა. ლაზარე ვის ენაღვლებოდა. გატრუსული სახე, თითქო ნაცარში ამოსვრილი თმა, კისერში ჩაჭეჭყილი თავი, კოჭლი ფეხი—ყველას მხოლოდ სიკვდილს აგონებდა, ყველაში მხოლოდ შიშს იწვევდა.

— ვაი შენ და ლაზარეს მოსვლა!—მიაწყევლიდენ ერთმანეთს.

ლაზარემ ეს იცოდა. მაგრამ ამისთვის არავის არასოდეს გასწყრომია. იცოდა, რომ ყველას სძაგდა, ამიტომ თითონაც ყველასი ერიდებოდა. ლაზარე ახალგაზრდა არავის ახსოვდა, თუმცა მასზე ხნიერი მრავალი იყო, თითქო მუდამ ასეთი ყოფილიყო, თითქო იმიტომ ყავდა ის მარაგათ ცხოვრებას, რომ ხალხი დაეფრთხო და შიშს ქვეშ ყოლოდა.

1917-მა ლაზარეს გაუღიმა. ულევი საქმე გაუჩინა, ყორანივით მოიყნოსა სოფლის უბედურება და ორღობეში თამამად გამოჩნდა. დაუძლურებულ სოფლებს სახადი დაერია. ამ დაუპატიჟებელმა სტუმარმა კი თავისი მეგობარი ლაზარე მოიყვანა. მხოლოდ ესენი ძმობდენ ერთმანეთს.

გლეხები, რომლებიც თავს ჯანსაღათ სთვლიდენ, უეცრად ლოგინად ვარდებოდენ და რამდენიმე დღეში კვდებოდენ. ესპანურმა სახადმა, რომელიც გაბოროტებით ეცა სოფელს, მრავალი ოჯახი დააობლა. ამ უცნაურმა სენმა სოფელი სათიბად გახადა.

დათიკამ შინაურებს მეზობლებში სიარული აუკრძალა. უფრო ბავშის შიში ჰქონდა.

— ეზოს იქით არ გაუშვათ. შინ იყოს. ხომ ხედავთ, მოცელა ხალხი...

როცა სახლს სიკვდილი შემოეჩვევა, შემდეგ ის ხშირი სტუმარი იქნება. გაკვალულ გზაზე სიარული უფრო ადვილია. დათიკას ქოხისკენ კი სიკვდილს გზა დატკეპნილი ჰქონდა.

არ სწამდა დათიკას ზოგი ადათი, მაგრამ როცა ერთ დღეს დაინახა, რომ ცოლს ჭიშკრის სარზე ცხენის თავის ქალა ჩამოეკიდა, ესიამოვნა. ძველები იტყოდენ—ბედის შეცვლა იცისო. დათიკას ბედი თუ შებრუნდებოდა, ერთად-ერთი გზა უკეთესისაკენ ჰქონდა. უარესისკენ სავალი აღარ იყო.

შემოდგომის საღამოს, როცა მარიამი და გაიანე ვახშმის სამზადისში იყვნენ, კარი გაიღო და ორმა გლეხმა დათიკა შინ შემოათრია.

დათიკა კვნესოდა.

— ჩემი თვალების დამსება!—შეჰკივლა მარიამმა.

მეზობლებმა მხოლოდ ეს სთქვეს: სამუშაოდან დაბრუნებულნი ყანის პირზე მიწოლილ დათიკას წააწყდენ. სწუხდა. ერთხანს იარა. მერე მოსხლტა და ხელით სათრევი შეიქნა.

— წყალი! — ითხოვა ავადმყოფმა.

ცივ წყალს ხარბათ დაეწაფა.

დედაკაცებმა ლოგინამდი მიათრიეს, გახადეს და შეფუთნეს.

ჭრაქის სინათლეზე მარიამი ქმარს დაჰყურებდა. ავადმყოფის სახე სპილენძის ფერად ელავდა. ვერ ისვენებდა. ხელებს საბანში ვერ აჩერებდა. დაულაგებდენ ხელებს ლოგინზე, ავადმყოფი კი იმავე წუთში ისევ მიწაზე გადმოყრიდა.

მალე კიდეც წამოაბოდა. მეზობლებს იგონებდა. უცნობი სახელებიც წამოიძახა. ლოგინთან მომთხნილი მარიამი ავადმყოფის ყოველ სიტყვას იჭერდა. შეიძლება ისეთი რამ გაეგონა, რაც მოულოდნელი უბედურების მიზეზს აუხსნიდა... მაგრამ ასეთი არაფერი უთქვამს, ხანდახან მოდიოდა გრძნობაზე, თვალს გაახელდა, შიშით გამოიხედავდა.

— არაფერი მიშავს, არ შეშინდე!—მეტ სანუგეშოს ვერ ახერხებდა დათიკა, მარიამი ათურთვალე თავზე წყალს ასხამდა, შუბლს და საფეთქელს ძმარით უზელავდა..

ღამით დათიკა აღრიალდა.

ყვირილი მეზობლებშიც გაიგონეს. ჩაძინებულ სახლებიდან გამოიხედეს. შეშინებულმა მეზობლებმა ღამეში ერთმანეთს კი დასძახეს. მერე სახლებიდან ჭრაქებით გამოვიდენ.

დათიკას ღრიალი შორს ისმოდა. ხმა თავისკენ იზიდავდა ორღობეებში აღჩოლებულ ჭრაქებს და კვალს.

როცა მეზობლები ქოხში შევიდნენ, აქამდე თავშეკავებული მარიამი, ქმრის ლოგინზე ტირილით დაემხო.

ავადმყოფის გასამხნევებლად მრავალი ხმა ერთად მისძახოდა სანუგეშოს:

— არ შეშინდე!

— არაფერი გიშავს!

— ვაჟკაცი ხარ, გაუძელი!

— დევკაცს ავადმყოფობა რას დააკლებს!

დათიკა ბორგავდა.

დილით დედაბრებმა ინახულეს. ავადმყოფის გვერდით მოიმთხმნეს. მოხუცი ხათლიდედა ლოცვებს ბუტბუტებდა. დიდ ხანს ილოცა, წასვლისას მარიამს იმედი მისცა,—შელოცვა აუცილებლად უშველიდა.

ავადმყოფი მართლაც დაწყნარდა. მარიამს ჯერ იმედი მიეცა. მაგრამ მალე მიხვდა, რომ დათიკა ახლა უარესათ იყო. ძალით გაუხსნა თვალი, გამოიხედა უსიცოცხლო შავმა ლაქამ. თვალს აღარ გავდა.

ორი დღეა მარიამს არ დაუძინია. როცა დაღლილობა მოერევა და ძილი თვალების წართმევას დაუპირებს, სახეზე ცივ წყალს შეისხამს. რა დამძიმდა ქუთუთოები, რა ნეტარებაა მათი დახრა და დასვენება.

დათიკა ეხლა ისე აღარ ბორგავს. მხოლოდ ხანდახან ამოიკვნესებს. შეიძლება ხათლიდედას ლოცვებმა უშველა. კუდიანია ის დედაბერი... ტყუილად კი არ ერიდებათ მისი...

მესამე ღამეა უთევს მარიამი. დათიკა რომ ასე საცოდავათ არ კვნესოდეს, მარიამს მეტი ძალა ექნება წილს გაუმკლავდეს. ჩუმი კვნესა ძილისპირის გალობას მოაგავს. გარედ ღამეა. სიჩუმე. მხოლოდ წარბა გაირბენს ხანდახან, ან კედელზე გვერდებს მოიფხანს. შიგნით ჭრაქი ბჟუტავს და ჩუმათ, თითქო თავის თავს ნანას ეუბნება, კვნესის დათიკა, სადღაც მახრა შემძვრალა და კედელს კვნეტს. ისიც ძილისპირს ამბობს. ბებერი, ულონო მხრები ყვინთვამ დაღალა. ყვინთის დროს თავი ისე ნიკაპამდე ეშვება, როგორც იყო საცეხველზე. რა გრძნეულია ნათლიდედა.. დათიკასაც არა ერთხელ უთქვამს,—არ ვარგა მისი წყენება, კაცის თვალი არააქვს, შეგხედავს და გაგატიალებს.. მაგრამ ახლა ნათლიდედა კეთილი გამოდგა. დათიკა, ცხადია, მორჩება. გუშინ უარესათ იყო. მორჩება, რა თქმა უნდა მორჩება. აი მახრაც ამას ამბობს. შემძვრალა კედელში, ხრავს გაჭვარტლულ ფიცარს და იმედს ამბობს. მარიამი თითონ ხედავს, რომ დათიკა კარგად არის. უჭირავს ხელში წალდი და მიდის თავისი ლონიერი ნაბიჯით. უკან გაიანე მიჰყვება. რა უცხო ვაკე გადაიარეს! სამყურას მოლი ტიტველ ფეხებს ხავერდივით ულერსებს. ჩრდილში კრავი სძოვს. ეს ხომ ის კრავია, ორამის დასაბრუნებლად რომ ეკლესიას შესწირა? წინ მიდის დათიკა, ერთხელაც არ მოიხედავს. რასაც არ შეხედავს მარიამი, თვალს ყველაფერი უხარია. ისე ეალერსება ქვეყანა, როგორც ოდესღაც დედის ხელი. დედის კალთასავით ტკბილია გარემო და დათიკა რომ შეისვენებდეს, მარიამი ჩამოჯდება და ჩადებს თავს ამ ტკბილ მიწაში. ისეთი ამწვანებულა ქვეყანაა, როგორც ალვის ხე აპრილში. რასაც დათიკა ხელს მოჰკიდებს, თითქო ჯადო ჰქონდეს, ყველაფერს ააყვავებს. ერთი გამხმარი ხე იყო, სული შეიხო და ტოტებმა უცხო რამ ხილი მოისხა. ერთ ადგილას მარიამმა დიდი ოდა დაინახა. დადგა, მიაჩერდა. დათიკამ უცბად გადაუხვია. მოკრძალებით წავიდა, მარიამი სახლისკენ მიიზიდა. მისკენ წავიდა. დათიკას არ დაუნახავს როგორ ჩამოცილდა, თორემ გააჩერებდა. რაც უფრო უახლოვდება სახლს, ხედავს სამყურა თანდათან ჭკნება. მერე გადამწვარ მინდორზე გადადგა ფეხი და როცა გარშემო მოიხედა, ყველაფერი ნაცრით დაფარული დაინახა. ფერფლი ყრია. სხვა არაფერი. მივიდა ახლო და იცნო—ლაპიას ოდა არის. ოდას ქვეშ კი სისხლი გამოდის. ორი პატარა რუ გამოდის. ორივე სისხლის რუ. დაიხედა და იცნო—შვილების სისხლია. მოწვეთავდა სისხლი კედლებიდან. პალატის ქვებიდან. მოტრიალდა მარიამი გასაქცევად, მაგრამ გზა ვეღარ გაიგნო. ველი უდაბნო იყო. ნაცრით დაფარული. ეძებდა თავის კვალს, მაგრამ ვერ ნახა. მრავალი ათასი სხვა იყო კიდევ. ტიტველი ფეხის კვალი ყოველისმხრით მიდის. არც თუ გზაა, არც სადმე ბილიკი. უეცრად დათიკას ხმა ესმის. შორიდან უძახის. თითონ არა სჩანს. გაიქცა მარიამი. უნდა თავს უშველოს.

ავადმყოფის ღრმა ამოკვნესამ გამოაღვიძა. კვნესოდა გაბმით, სასოწარკვეთით. მერე ძალა მოიკრიფა, ანიშნა რაღაც. როცა მარიამი დაიხარა, სიტყვები ნაწყვეტად ამოისროლა.

— ბავში გახიზნე.. ფარცაგი არაფერი მოხდეს.. ხვალვე გაგზავნე. მოუარეთ. შენ თავსაც გაუფრთხილდი. სახლი არ გააციოთ.

იმავე დღეს გაიანემ ბავში დიმიტრისას გადაიყვანა.

ბავში გრძნობდა, რომ დიდი ხნით მიჰყავდათ და უარობდა. ჯერ ატირდა, შემდეგ სადღაც გაიპარა და დაიმალა. მეზობლებში მოიკითხეს, ყანაში და ვენახში სძებნეს. ვერსად ნახეს.

კაკო შორს არ წასულა. საწნახელში ჩაძვრა და, რომ არ მოსწყენოდა, წარბაც თან ჩაიყვანა.

ეზოდან ესმის როგორ უძახიან. ეცინება, რომ ასე ახლოა და მაინც ვერ იპოვეს. გრძნობს, რომ სხვაგან მიჰყავთ. სხვაგან რომ არ მიდიოდეს, არც საგარეო წითელ ხალათს ჩააცმევდენ. უძახონ რამდენიც უნდათ. ყავრით გადახურულ საწნახელში ყოფნას რა სჯობია.. მით უფრო მაშინ, როცა წარბაც აქაა და ისიც მხიარული. გასუდრული წევს კაკო. წარბა კი საწნახელში ნებიერობს. გაირბენს და გამოირბენს, ჩაავლებს პირს ახალ ხალათში, სწიწავს გასაგლეჯათ. კაკო იცინის, მაგრამ ისე ჩუმათ, რომ მხოლოდ თითონ ესმის. წარბა ბოლოს მოღალატე გამოდგა. უცბად წუღის წვერს ჩააფრინდა, თითზე უკბინა, და როცა კაკომ ფეხი გაჰკრა, ესეც თამაშობათ მიიჩნია და მხიარულად დაყეფა.

კაკოს მიაგნეს, ამოათრიეს და წაიყვანეს.

სოფელში მრავალი დაავადდა დათიკასავით.

როცა სენმა რამდენიმე კაცი იმსხვერპლა, მაშინ დაფრთხენ. ავადმყოფს შინაურის გარდა აღარავინ ეკარებოდა. მომვლელებსაც გაურბოდენ. ვინც მოკვდა, ისე გასვენდა—სატირლად არავინ მიკარებია.

მეშვიდე დილას მეზობლებმა მარიამის ხმამაღალი ტირილი გაიგონეს.

*) მოთხრობა „ფერფლი" ახლო ხანში გამოდის სახელგამის გამოცემაში. მოთხრობაში მოცემულია სოფელი მსოფლიო ომის დროს.

იმ დღეებში ასეთი ტირილი რამოდენიმე სახლიდან გაისმა. ჰკიდონ სასოწარკვეთით, როგორც უდაბნოში მატოვებულნი.

დათიკა მშვიდათ მოკვდა. უკანასკნელ წუთებში აღარ სწუხდა. მხოლოდ ერთხელ ითხოვა კარი გაეღოთ. თვალში ბნელოდა. თვალს ნათელი ვერც კარებიდან შემოსულმა მზემ შემატა: იწვა უძრავად, თვალდახუჭული. მერე უეცრად გამოიხედა, სცადა რაღაც ეთქვა. ტუჩები შეირხენ, მაგრამ მარიამმა ვერაფერი გაარჩია. დათიკამ მხოლოდ შეხედა ცოლს, თითქო წყრომით, თითქო უმადურმა და როცა ამის შემდეგ თვალები დაქეცა, მეტი აღარ გაუხელია.

დათიკას ქოხში ლაზარე დაუძახებლად მივიდა.

მას აქეთ, რაც ავადმყოფობა სოფლებს მოედვა, ლაზარეს საქმე გაუჩნდა. ყველასაგან მიტოვებულ ჭირისუფლებს დამარხვაში ეხმარებოდა. ჯანსაღებში ლაზარეს ადგილი არ ჰქონდა. სამაგიეროთ იმ სახლში, სადაც საფრთხობელა მიცვალებული ეგდო, თამამად შედიოდა.

ლაზარე დაძახებას არ საჭიროებდა. სადაც მიწვდებოდა, დროით მიაკითხავდა. ხანდახან ერთ დღეში ორ სოფელში გადასვლა უხდებოდა. დაუზარებლად მითოხარიკობდა ყოველ დროსა და ყოველ ამინდში. დაადგეპოდა გზას ბუტბუტით. რაღაცას ელაპარაკებოდა თავის თავს. ხმის გამცემი მაინც არავინ ჰყავდა. ყველა და ყველაფერი გაურბოდა. ლაზარე მუდამ თითქო სიცალიერეში აბიჯებდა.

ეზოში ლაზარეს შესვლას მარიამი მოთქმით შეხვდა. დათიკას სიკვდილში საბოლოოთ თითქო მხოლოდ ახლა დარწმუნდა.

სხვის მწუხარებას მიჩვეულმა ლაზარემ ქალს ტირილი აცალა, მოთმინებით ჩამოჯდა კარის წინ ქვაზე და როცა ჭირისუფალი დაჩუმდა, საქმის მცოდნე კაცის კილოთი უთხრა:

— გასვენება შაბათამდი არ მოხერხდება. კუბო საყიდელია... საფლავი უნდა გაითხაროს...

ქოხს თვალი მოავლო. ეზოს გადახედა. თვალებით ყველგან მოიფათურა.

— ღარიბი გლეხი ყოფილხარ... ბევრს არ გამოგართმევ... ორი დღის ხარჯი და...

თვალები ეზოს ბოლოში ჯაჭვით მიბმულ ტახზე შეჩერდა.

პარასკევს ლაზარემ მარიამთან დაიღამა. შაბათს დილით გალავანის განაპირას მიწა მოჩიჩქნა და მალე სახლში დაბრუნდა. თმაგაშლილი მარიამი ქმარს დასტიროდა.

მარიამის ტირილში ლაზარემ წაძინებაც მოასწრო. როცა კვილით გაღვიძებულმა ცას შეხედა, მზე შუადღის დაინახა. ადგა. სადილი მოითხოვა.

— წუხანდელ ვახშმიდან ღვინო არ დარჩენილა.—ცალიერი დოქი ქალის ყურთან შეანჯღრია და ჭურის მოსათხრელად თითონ წავიდა.

ღარიბი სუფრა ქონდა ლაზარეს. წნილი, ყველი და ვახშმიდან მორჩენილი ჭადი. უგემურად ღეჭდა. ყელში გაჩხერილ ცივ ჭადს ღვინოს აყოლებდა.

— კვდარი გიცხონოს, ცოცხალი კარგად გიმყოფოს!—ჭიქას ხშირად სცლიდა.

ტირილს შეჩვეულ ყურს არ აწუხებდა, როცა მარიამი კუბოს ფიცარს თავს ურტყამდა.

— ყველა სიკვდილის შვილები ვართ, ჩემო დედა. თავს რად იხეთქ... თავსახეთქი საქმე იმას აქვს, ვინც ცოცხალია. მაგას რა უჭირს. შენი ქმარი მოსვენებულად არის. მაგას ქვეყნის აღარაფერი ეკითხება. არხეინადაა... რას იზამ, ყველას ერთი ბოლო გვაქვს... ხუთშაბათს ერთი კაცი გავიტანე. ცოლიც არ მიჰკარებია ძუძუმწოვარა ბავშს გადავდებო... საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდროს ღმერთმა იმ ქვეყნად შენს მიცვალებულს!

ნახევარ დოქზე დასულ ლაზარეს ენა უფრო აეშვა. მისთვის სულ ერთი იყო— უსმენდნენ თუ არა. უდღეგრძელა ცოცხლად მყოფნი, უცხონა მკვდრები.

— შვილიშვილი ხომ დაგრჩა? მაშ არაფერი გიჭირს. დამტირებელი გეზრდება. ჩემსავით გაპარტახებული არ ყოფილხარ. სახლი გაქვს და კარი. მე არაფერი მაქვს და არავინ მყავს. ღმერთს მაინც არ ვემდური. თუ ასე ნებავს, ასე იყოს. მე არ ვეწინააღმდეგები. ჩხუბის თავი არ მაქვს. მოცდი ბოლომდე, ვნახოთ რას მიზამს.

მხრები აიჩეჩა. ჩაიხითხითა.

— ან რა უნდა მიქნას? ჩემთვის მეაცლის ის? არ გეტკინა არაფერი! მე ცალკე ვარ, ის ცალკეა. მე ჩემთვის ვარ. ხანდახან მხოლოდ ის მაქვს ფიქრად—როცა ჩემი დრო მოაწევს, მიმიღებს ზეცა თუ არა? არ მიმიღებს... ვიცი მე, არ მიმიღებს. გაშლის უფალი დავთარს, ჩახედავს და გაკვირდება: ასეთი კაცი არსად მეგულებოდა, საიდან მოვიდა, საიდან გამოჩნდაო? მეც ავდგები და მიწაზე დავბრუნდები. აბა არ მქონია მე ადგილი?! ჩემმა სულმაც ჩემა ხორცივით იხეტიალოს? ანასუნ ჩემ საქმეს! დავბრუნდები და ვიხეტიალებ... ხეტიალით დამსჯის ვინმე თუ? ამბა!...

ცას შეხედა და გაუცანა. მერე დაისხა და დალია.

— ღმერთმა მიცვალებული გიცხონოს, ნათლიდედა!

დოქში ღვინო კიდო იყო დარჩენილ ყველს გამოზოგვით სჭამდა, რომ დასაყოლებლად ყოფნოდა. ეზოს ბოლოში დაბმული ტახი ასაწყვეტად იწევდა. შიოდა და ყვიროდა. უყურებდა ლაზარე ტახს და არ მოსწონდა.

— ცხოველის მოვლა კი არ გცოდნია, ნათლიდედა. ცალიერი ძვალია, უსუქარი ღორი ძალზე უგემური საჭმელია. ღორი ასე არ უნდა ცმუტავდეს. ღორი დანჯი უნდა იყოს. ქონი უნდა ადინჯებდეს, მშიერ ღორს რა დაამშვიდებს? მშიერი ღორი მგელზე უფრო ავია... ღმერთმა ბარაქა მოგცეს, მოკეთე გიმრავლოს, მტერი და ორგული ასე დაღუპოს!

ჭიქა თავქვე დაამხო და ადგა.

კუბო ურემზე დადვეს. ხარებს ლაზარე გაუძღვა. ეკლესიის აღმართს აუდგენ.

— წადი შე სამგლე! რავა იზნიქება წელში!—შოლტავდა ლაზარე ხარებს.

ურემს თმაგაშლილი მარიამი მისდევდა.



ეროვნული ბიბლიოთეკა



სურათებზე—1. გურჯაანის სკოლის მოწაფეები ეხმარებიან საშეფო კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავს" ნიადაგის ...
გამოიტანა გადაწყვეტილება ჩაატაროს საგაზაფხულო თესვა განუსაზღვრელი სანარდო სისტემის ნიშნით. 3. ამერიკული ვაზი...
რებს საგაზაფხულო თესვას. 5. სოფ. დვირ-ის კომკავშირელი ესაუბრება ადგილობრივ გლეხებს დასილოსებულ საკვების...
ისათვის. 7. გურჯაანის კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი"-ს კომკავშირლებმა ზედმეტ საათებში შეაკეთეს სამი ტრი...
ვის ჩასატარებლად. 9. საგაზაფხულო სამუშაოები ბორჯომის რაიონში. 10. სოფ. დვირში საგაზაფხულო კამპანიისათვის უშ...
კოლმეურნეთა დასახმარებლად, გუთნების შეკეთებაზე. 12. კოლმეურნეობა „წითელი ვარსკვლავი"-ს (გურჯაანის რაიონი) ფ...
ბა „წითელ ვარსკვლავში".



ადებაში ტექნიკური კულტურებისათვის. 2. გურჯაანის რაიონის ხელმძღვანელთა კონფერენციის მონაწილენი. კონფერენციამ
ედე გურჯაანში. 4. ველისციხის (კახეთი) კომუნის ხელმძღვანელი ამხ. ხუროშვილი, რომელიც თავის რაიონში პირველი ატა-
შვნელობაზე. 6. საკუროროტო სამმართველოს სანერგეში (ბორჯომი) დიდი მუშაობა სწარმოებს საგაზაფხულო კამპანი-
დამკვრელი კოლმეურნე ამხ. თვაური, რომელმაც პირველმა შექმნა დამკვრელი ბრიგადები სოფ. ჯიმითში საგაზაფხულო თეს-
ზეთის სპეციალურ ნომერს. 11 ამიერ-კავკასიის სახპოლიტსამმართველოს ბრიგადა, რომელიც გაემგზავრა გურჯაანის რაიონის
ტორისტები ათავსებენ სას. სამ. იარაღების შეკეთებას. 13. სას. სამ. იარაღების შეკეთება მინდორში გასვლის წინ კოლმეურნეო-

5.

დღეს აქ, ჩემს მაგიდასთან მოხდება ისევ შეხვედრა დოქტორ შტოლცენბერგთან. ის მოვიდა აქ არა მაღრჩობელა აირებით, არამედ ახალი გამოკვლევით, „ფერადი ღრუბლებით“. მოუსმინოთ მოქალაქე შტოლცენბერგის ახალ წინადადებას.

„1917—1918 წ. ლაბორატორიებში სწარმოებდა სხვადასხვა ცდები ფერადი ღრუბლების მისაღებათ, რათა საშუალება გვქონოდა მოგვეწყო სროლის იმიტაცია. მაგრამ ამ ცდის შედეგები სამწუხარო აღმოჩნდა“.

გასაგებია, რომ ეს სამწუხარო შედეგები მოსვენებას არ აძლევდენ დოქტორ შტოლცენბერგს. ამის შედეგათ ჩვენ ქვემოთ ვკითხულობთ:

„დოქტორ გ. შტოლცენბერგის ქიმიური ფაბრიკა აგრძელებდა და ანვითარებდა ამ სფეროში აღმოჩენას. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგმული იყო მაშინ, როდესაც დარიშხანის ნალექი გათბობის შემდეგ შეურიეს მღებავ საგნებს... ამ გზით იყო შექმნილი ის მოწყობილობა, რომელიც აირს აძლევდა არაჩვეულებრივ ლამაზ ფერებს და იძლეოდა დიდ ეფექტს. ამ უკანასკნელს გარდა იმისა რომ შეუძლია სარგებლობა მოუტანოს ომს, შეიძლება აგრეთვე გამოყენება დღესასწაულების დროსაც (იქ ამ ყვავილნარის ღრუბლებს შეძლებისდამიხედვით, როგორც სჩანს, სასიამოვნო სუნიც უნდა ჰქონდეს).

6.

ჩვენ ნუ დავინტერესდებით, თუ დოქტორ გ. შტოლცენბერგმა როგორ უნდა შეახსას ეს ფერადი ღრუბლები. ჩვენ ვიცით რა ღირებულება აქვს მის ფერად ღრუბლებს, აქვე ჩვენ გავიგებთ, რომ მოქალაქე შტოლცენბერგი არა მარტო განთქმული სწავლულია, წმინდა მეცნიერების ადამიანია, არამედ საკმაოდ დიდი ესტეთიური მოთხოვნილების მქონე პიროვნებაცაა. სწორედ ამიტომ არის ის.

შემდეგ წერილში ენერგიულად ანვითარებს აზრს, რათა აუცილებლად შემოღებულ იქნას უფრო ლამაზი აირების ნილაბები. აქ სიტყვა თვით დოქტორ შტოლცენბერგს დაუთმოთ:

„დღემდე მიისწრაფოდენ მიეცათ აირის ნილაბისათვის სამხედრო ხასიათი, ე. ი. — მიეცათ ომისათვის ნილაბები, რომელიც სრულიად შეცვლიდა და გამოუცნობელს გახდიდა სახეს, მისცემდა მას საშინელ გამომეტყველებას. ამას ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ პირველყოფილ ხალხშიაც. ისინი ულებავდენ სახეებს ჯარისკაცებს, აცმევდენ ნილაბებს და სხვადასხვა სამხედრო ტანსაცმელებს. ნილაბებისადმი ასეთ დამოკიდებულებას ვამჩნევთ საბჭოთა რუსეთში; ბურჟუაზიის მოწინააღმდეგე ქვეყანაში, სადაც ასეთი ნილაბები კეთდება დიდ ქალაქებში რუსი ქალების მიერ.

მაგრამ, თუ ეს წმინდა მეცნიერება არ არის, მაშინ ყოველ შემთხვევაში ისტორიული წინამძღვარია.

გერმანული სამხედრო ნილაბები ასევე იწვევენ შიშს ქალებსა და ბავშებს შორის, ხოლო ამ ნილაბის დამტარებლებს ძალზე აქვთ განვითარებული დაცემულობის გრძნობა“.

გასაგებია, რომ აქ აუცილებლივ უნდა დავეხმაროთ. ამ სახით გაგრძელება არ შეიძლება. შიში და საშინელება ომის წინაშე. ეს სრულიად დაუშვებელია. თვით ქალებისათვის, ბავშებისათვის ომი უნდა გახდეს სასიამოვნო სანახაობათ. ამ საქმეში, რასაკვირველია, არ შეუძლია არ ჩაერიოს დოქტორ შტოლცენბერგს. ძირს ნილაბები, რომლებიც შიშს და საშინელებას იწვევენ. შტოლცენბერგის ნილაბები გავს იმ ნილაბებს, რასაც ყოველი ბავში ხედავდა ან თვითონ იხურავდა სხვადასხვა დღესასწაულების დროს. ამიტომ გასაგებია, რომ ყოველ ბავშს შტოლცენბერგის ნილაბებით და აირებით მოგებული ომი მოეჩვენება „მშვენიერ სანახაობათ“...

გ. შატბერაშვილი

# გმირი სიმღერით დაიბადება

(ნაწყვეტი)

არაგვო როგორ ადიდებულხარ,
როგორ ხვივიან ხევნი ხმიანი,
არაგვო ჩემო,
გამხმარა მუხა—
და ჩაჩეხილა ხევში ხრიალით...
— აღარ მოესმის ატეხილ ჭალებს,
ქოხმახებიდან გლეხური ზარი,
სხვა ურიამული დადგა შარებზე,
და სხვა სივრცეში გაშლილან გზანი...

—:—

დაგვინგრევია კოშკები შენი,
დროვ,
გარუჯულო — შენი სიშავე,—
დაგვიძგრევია სისხლით ნაშენი
კედლები—შემხმარ სისხლის ნიშანით...
დაგვინგრევია...
—ძონძებს დარჩენილს,
გრძნობებს მოტანილს წარსულ ყოფიდან,
გამოვაცალეთ ჭარმაგი ბჭენი,
და თალნი ზარით ჩამომხობილან!

—:—

არაგვო ჩემო, ადიდებულხარ,
მოგაქვს ზარიან ზვირთების დენა,
—არაგვო, ხედავ ბიჭები ქუხან,
გმირი იზრდება და იბადება!

—:—

მოიტათ,
გულზე—როგორც ლადარი,
გადმოშაყარეთ სიძღერა ჩქერად,
მოიტათ,
ხალის გადამატარეთ,
მე თქვენი ხმის და სიმღერის მჯერა!
მოდით ბიჭებო ისე იმღერეთ,
რომ ურუანტელი ძარღვებში წვეთდეს,
ვიცი ეს ხმები მომხვევენ ხელებს,
—მომხვევენ ხელს და წამიტაცებენ!

—:—

აბა სიმღერა!
სიმღერა ჩვენი —
კომკავშირელო ბიჭო შავლეგო,
შემახილებით აიშალენით—
ხუთწლედის ბჭენი ამოვაშენოთ!
მოდი და გულზე გადმომაყარეთ
ეგ ზარიანი ყიჟინის დენა,
სიმღერის ღვარი დაუშვით ღარებს—
გმირი სიმღერით დაიბადება!
— ის იბადება არა გუთნურის,
არა ქართველურ მხედრულის ზარში,
შრომით და ბრძოლით კაჟდება გული,
ის აღარ არის, რაც იყო შარშან!

—:—

არაგვო ჩემო, ადიდებულხარ,
მოგაქვს ზარიან ზვირთების დენა,
არაგვო ხედავ, ბიჭები ქუხან,
გმირი იზრდება და იბადება!
იმღერეთ ძმებო!
იმღერეთ დადგან
იშლება, ტყდება გლეხური ყამირის,
—უწინ შავი კოშკები მდგარან,
და ზანზარებდა ჟამი მრისგანე.
გასწით, ამართეთ,
ასტეხეთ ბრძოლა,
ახარეთ ტევრი სოციალიზმის,
ასტეხეთ შეხლა მეტოქე—მძორთან,
და გაიმარჯვეთ ველურ ყამირზე!
—რომ ეს დღეები, სიმღერა ჩვენი,
სოციალისტურ ყლორტების ყრმობა,—
გადაიშალოს გმირის მარჯვენის,
უმაგალითო ბრძოლის მოთხრობად...
ამბად—რომელიც გადუვლის მყობადს,
და, მოაგონებს განვლილ ცხოვრებას,
ძმებო, ჩვენი ხმა —
ჩვენი მოთხრობა,
შეხლა და ბრძოლა ემახსოვრებათ!
არაგვო ჩემო,
ჩვენი მოთხრობა,
გადაშლილია ბრძოლის რვეულად,
ჩამომხობილან აჩრდილნი ყრმობის,
და ძველი ქვეყნის კოშკნი რღვეულან!

გ. შატბერაშვილი.

ლია იმისათვის, რომ მოისპოს შიში და ბავშებმა შესძლონ ომის მხიარულად თვალის დევნება. შტოლცენბერგის მჩატე ნილაბები, რომელიც კარგათ ზის სახეზე, რომელიც ასე მჩატეა, რომელიც სრულიად არ ჰფარავს ჰორიზონტს, რომლის ჩაცმა შეიძლება ერთი ხელითაც, ნილაბი, რომელიც გამოგონილია ასეთ გამოცდილ „წმინდა მეცნიერების“ ადამიანის მიერ.

გამსჭვირვალე სამხედრო აირის ნილაბი, როგორც ამას რამოდენიმე სტრიქონის ქვევით უწოდებს შტოლცენბერგი, გარდაქმნის ომს მხიარულ-ესთეტიურ მოვლენად.

მჩატე აირის ნილაბები... ფერადი ღრუბლები... მაგრამ ასეთი პოეზია ჩვენთვის დრომოჭმულია.

6.

ათასი ადამიანი ომის დროს ხვდებოდა „ფერად უბნებს“, რომლებიც ისეთი „კარგი“ საცხოვრებელი ადგილი იყო, რომ არც ერთ ჩვენგანს არ სურდა ამ ადგილის კიდევ სხვა დროს გაცნობა. იქ იყო ლურჯი, ყვითელი, მწვანე უბნები, მთელი სივრცე აღნიშნული იყო ლურჯი, ყვითელი, მწვანე ჯვრებით, იყო ჯვრების კომბინატი, ეს იყო აირების ჰაობი. ამ უბნებიდან არ ბრუნდებოდენ ცოცხალნი, იქ არ შველოდა არავითარი აირის ნილაბი, ფილტრები და სხვადასხვა დასაცავი საშუალებები, იქ არ შველოდა არავითარი სპეციალური წყალში ჩასაყურყუმელავებელი ტანსაცმელებიც კი. იქ ცოცხლად იხრწნებოდა ადამიანი, სისხლი ოფლთან ერთად მოსდიოდა. თვალები ბუდიდან მოსცვივოდათ. სასოწარკვეთილება ვრცელდებოდა... ყოველივე ეს ხვდებოდა წილად იმას, ვინც იქ მოხვდებოდა. ამის მოგონებით გაგივარდებათ ხელიდან კალმის წვერი და იძულებული

# ფერადი ღრუბლები... ფერადი ღრუბლები...

7.

რას უნდა ნიშნავდეს დოქტორ შტოლცენბერგის ფერადი ღრუბლები.

ნიშნავს თუ არა ის მშვიდობიანობას, განიარაღებას! სხვადასხვა ფერის ტოტები, რომელიც ასე საიდუმლოთ ირხევა ჰაერში, მშვიდობიანობის სიმბოლოებია, თუ ეს ფერადი ღრუბლები, რომლებიც მოემართებიან ჩვენს გარშემო, ნიშნებია...

ფერად ღრუბლებს „შესაძლებლობის საზღვრებში უნდა ჰქონდეს სასიამოვნო სუნი“...

სიკვდილი, რომელიც მუშავდება დოქტორ შტოლცენბერგის ლაბორატორიაში „სურნელოვანი და მომხიბლავია“.

ფერადი ღრუბლები იმის ნიშანია, რომელიც გვაცნობებს, რომ ომი არ მომკვდარა. ომი იძლევა სიცოცხლის ნიშნებს. იგი უშვებს წარსულის სურნელებას, მისგან ქრის ომავლის სიოც.

ფერადი ღრუბლები... იქმნება ახალი საიდუმლოება. სიზმარი... აღფრთოვანებასაც წვდება. აუზი, რომელშიც ბრწყინავს სხვადასხვა ფერადები. სურნელოვანი წვიმა მფრინავი ცისარტყელა. შეიძლება ამ წმინდა მეცნიერების ადამიანმა შესძლოს კიდეც ამ საიდუმლო ფერად ღრუბლებს შეუეროს საიდუმლო მუსიკა და საიდუმლო ფიგურები.

ფერადი ღრუბლები. საიდუმლოება. ახალი საიდუმლოება, რომელიც გარემოცულია ომით. ყველა ეს საიდუმლოება, რომელიც ზურგს უმარგებს ომს, უნდა დავამსხვრიოთ.

ჩვენ უნდა დავფლითოთ ფერადი ღრუბლებიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შტოლცენბერგის ფერადი ღრუბლები *)

1.

ომი შენს წინ მაგიდაზეა. ომი შენთან არის — წინ, გვერდით, ირგვლივ, სითაც არ გაიხედავ ყველგან ომია. შენს მხედველობას არ დასჭირდება ხანგრძლივად ხეტიალი, ზედმეტი იქნება ადგილიდან დაძვრაც კი, დარჩი იქ, სადაც ამ წუთში იმყოფები. აიღე და წაიკითხე.

2.

კრებული, რომელიც შენს წინ მაგიდაზე დევს — „ქემიკერ ცეიტუნგია", ქიმიკოსების გაზეთი—1931 წლის 24 იანვრის № 50. მასში 461 გვერდზე მოთავსებულია დოქტორ გ. შტოლცენბერგის წერილი: „ფერადი ღრუბლები". ადვილი შესაძლებელია არც გახსოვთ დოქტორი შტოლცენბერგი. მოგეხსენებათ, ის ისტორიული პიროვნებაა.

3.

1928 წლის 21 მაისს პრესაში გამოქვეყნებული იყო შემდეგი ცნობა: ვოფეს მტრაეზე გერმან შტოლცენბერგის ქიმიურ ფაბრიკის ტერიტორიაზე, დაზიანდა ტანკის ძირი, ეს უკანასკნელი სავსე იყო მაღრ ხოიელა აირით — ფოსფორით. საწამლავი აირის ტალღები ღრუბლებივით გაემართა ჩრდილო აღმოსავლეთ ქარის მეოხებით ვილჰელმსბურგის მიმართულებით. იქიდან კი ჰამბურგის ნავთსადგურისაკენ, ქალაქ ჰამბურგისაკენ.

ერთი დღის განმავლობაში მჭიდროთ დასახლებულ მუშათა უბნებში ბევრი ასეული ადამიანი მოიწამლა. იძულებული გახდენ მოწამლული ხალხი გადაეყვანათ საავადმყოფოში. ცნობამ: ქალაქს უახლოვდება გაზის ღრუბლები, გამოიწვია დიდი აღელვება. მცხოვრებლების უმრავლესობა რჩეობდა ქუჩებში, რათა თავიდან აეცილა ოთახში მოსალოდნელი საშინელი სიკვდილი. მძიმედ მოწამლულთა შორის გარდაიცვალა რვა კაცი. მხოლოდ იმის გამო, რომ შემდეგ ქარმა შეუცვალა მიმართულება აირის ღრუბლებს — სამხრეთ აღმოსავლეთისაკენ და გაჰფანტა ის ლინენბურგის ველის მიმართულებით, გადაარჩინა მცხოვრებლები მოსალოდნელ უბედურებისაგან.

4.

მაშინ მე გავიცანი დოქტორი გ. შტოლცენბერგი. მოქალაქე შტოლცენბერგის კანტორა მოთავსებულია ჰამბურგის ერთ-ერთ საუკეთესო ქუჩაზე — მენკებერ-შტრასეზე.

გ. შტოლცენბერგს უცდით მისაღებ ოთახში. აქ იწერენ მნახველის გვარს და რა მიზნით ესურთ დოქტორის ნახვა — რის შემდეგ შეგიძლიათ შეხვიდეთ... კანტორაში სულ რამოდენიმე კაცია, შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ყველა ესენი ნათესაურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან მოქ. შტოლცენბერგთან. წარმოსადეგი კონსტრუქციის ქალი, რომელიც საწერ მაგიდას უზის, მოქალაქე შტოლცენბერგის ცოლი გახლავთ. ქმარი „ერთი წუთით გავიდა" — აცხადებს იგი. გამოსთქვამს უკმაყოფილებას პრესაზე, რომელიც მისი აზრით ტენდენციურად აშუქებს ოვლენებს. შავი უმადურება მეფობს ამ ქვეყნად. ქმრის მთელი რიგი დამსახურებანი დღეს დავიწყებულია. ქალი ღელავს. თუმცა იმ წამსვე იგრძნობთ, რომ ზოგიერთ საკითხებს გვერდს უვლის და ცდილობს არაფერი არ წამოსცდეს მის შესახებ. დოქტორ შტოლცენბერგს, როგორც სჩანს, განსაკუთრებული დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს რეიხსვერთან. დაგვავიწყდა ერთი წვრილმანის აღნიშვნაც: მოძრავ ყუთებზე შეიძლება ადვილად წაიკითხოთ— „მადრიდა".

რას ნიშნავს ეს. რა საერთო უნდა ქონდეს შტოლცენბერგს ისპანიასთან. მადრიდა.

და აი შემოვიდა შტოლცენბერგი. მაღალი, გამხდარი, ძველი დროის სწავლულის ტიპია. მოგაგონებთ ვილჰელმ 1-ლის ამალის ერთ-ერთ წევრს. იგი სტოვებს კარგ, ნდობით სავსე ადამიანის შთაბეჭდილებას. ამ ცისფერთვალება ადამიანს ასეთი თვალებით არ შეუძლია ბუზის წყენაც კი. ამნაირად ის სდგას ჩემს წინ უდანაშაულოდ გამებული, მისი სახე დაჭიმულია მრავალი ჯავრისა და მწუხარებისაგან.

მდგომარეობამ, რომლის შესახებ მას არაფერი არ უნდა ეთქვა, მიიყვანა იგი ამ ტრაგედიამდე. შტოლცენბერგი „წმინდა მეცნიერების" ადამიანია. ის მხოლოდ ამით იყო დაინტერესებული, მხოლოდ „წმინდა მეცნიერებით" — სახელდობრ კი: მაღრჩობელა აირის პროდუქციის შექმნით და ორგანიზაციით. ომის დროს მოქალაქე შტოლცენბერგი გენერალურ შტაბის განკარგულებაში იმყოფებოდა. მან აიღო მადრიდაში ფაბრიკა. ის საერთოდ აგებს ასეთ ფაბრიკებს. რიფების წინააღმდეგ ბრძოლაში გამოყენებულ იქნა მისი ახალი აირები.

გულმოდგინეთ ვათვალიერებ. როგორც სჩანს, ასე გამოიყურება „წმინდა" მეცნიერების ხალხი, არაფერი არ გეცემათ თვალში: შეუმჩნეველი, ნაცრისფერი, დინჯი. შეიძლება ეხლა გრძნობს შტოლცენბერგი იმას, რომ მისი სახელი ყველას პირზე აკერია. მან მიაღწია „დიდებას", გამოეყო, დაშორდა საზოგადოებას და მოექცა კულისებში. მისი დამსახურება ატარებდა ყოველთვის სხვის სახელს. დღეს კი მის სახელს სწყევლიან, ემუქრებიან... განა ეს საკმარისი არ არის იმისათვის, რომ მან გადალახოს უწინდელი საზღვრები, ერთხელ და სამუდამოთ დაამსხვრიოს თავისი სიჩუმე.

მან იცის ის საიდუმლოება, რომლის გამჟღავნებას შეუძლია გამოიწვიოს დიდი არეულობა. როგორც სჩანს, მოქალაქე შტოლცენბერგი თავდაჭერილია.

და აქ საკუთარ კანტორაშიც ის არ გრძნობს თავს მშვიდათ. წყრომა და მუქარა აქაც იჭრება, კედლები საკმაოდ გამძლე არ არის, ქარის სახელური მოძრაობს, შუშა ირხევა. მიყურებს და ფიქრობს — ვინ უნდა ვიყო. რა კარგი იქნებოდა, რომ ეხლა ცოლის გარდა კიდევ სხვა ვინმე იყოს, რომელსაც ეტყოდა ყოველივეს. მან იცის, ძალიან კარგადაც იცის ყველა ისინი, ვისთანაც ის მუშაობდა დღემდე, ყოველგვარ სინდისის გარეშე გასცემენ მას. — ეგერი, ვერ შეეგუა ამ წრეს, უნდა მოშორდეს... — სადმე შორს...

მაგრამ აი თანდათანობით მისი სახის ყოველი მოხაზულობა ღებულობს ისევ უწინდელ გამოხატულებას, — სახე ნიღაბათ იქცევა,—ადამიანი, რომელიც ქმნის აირებს. თვითონ უნდა გადაიქცეს ნიღაბათ, თუ კი სურს, რომ მისმა ხებობამ არავითარი ზიანი არ მიაყენოს პირადათ მას. ის უნდა გახდეს მიუწვდომელ ნიღაბათ.

### ნიღაბი მოგვითხრობს

ასეთ უბედურებას შეუძლია გამოიწვიოს მხოლოდ სიბრალული და მწუხარება. არც ერთი ადამიანი არ თანაუგრძნობს მსხვერპლს ისე, როგორც მე. მაგრამ ეს ხომ აუცილებელია, დიახ აუცილებელი ხარკია, რომელსაც იხდის ყველა მეცნიერული აღმოჩენა, წმინდა მეცნიერების თვითეული მიღწევა. და რაც უნდა დიდი იყოს სევდა, არ შეიძლება დაივიწყოს დიდი მიღწევები და ის დიდი სარგებლობა, რომელიც „წმინდა მეცნიერულ" გამოკვლევას მოაქვს კაცობრიობისათვის.

ვფიქრობ — აკუთვნებს თუ არა მისი აირებით მოკლულ რიფებს, ეს ნიღაბი, რომლითაც იქცა მოქალაქე შტოლცენბერგი — აუცილებელ ხარკს, თუ ათვლის მას იმ სასარგებლო მიღწევათა რიცხვს, რომელიც მოაქვს წმინდა მეცნიერებას კაცობრიობისათვის.

ამით დამთავრდა ნახვა. წარმოიდგინეთ, მე დამავიწყდა მოქალაქე შტოლცენბერგზე. ეხლანდელ დროის მეხსიერებით ძნელია ყოველი სახის დამახსოვრება, რადგან გარშემო ყოველივე სავსეა უასზღვრო საშინელებით, ირგვლივ ათასი წამებული და დაჩაგრულია. როდესაც მე ვესწრებოდი მოსკოვში მავნებელთა პროცესს, როდესაც მე ვათვალიერებდი რამზინს და მის კამპანიას, ბრალდებულთ შევამჩნიე ისეთივე ნიღაბები, რომელსაც ატარებს მოქალაქე დოქტორი შტოლცენბერგი. მაშინ ბრალდებულთა სახეებიდან არაჩვეულებრივი ძალით მოგლიჯეს ნიღაბები. ნიღაბის ქვეშ გამოჩნდა ნაოჭები, შეშინებულ კაცობრიობის სახის ხაზები. რამდენიმე ასეულმა მუშამ მოაწყო დემონსტრაცია, გამოუცხადა პროტესტი ასეთ „წმინდა მეცნიერებას", მაშინ პროტესტის მსვლელობის დროს ნიღაბები ერთმანეთს მისდევდა. და ჩვენ დავინახეთ კაცობრიობის ის გახრწნილება, რომელიც იმალებოდა „წმინდა მეცნიერების" ნიღაბის ქვეშ.



ხევის დაცურება მდ. ბზიბზე

---

*) შტოლცენბერგის „ფერადი ღრუბლები" იოჰანეს ბეხერის უკანასკნელი მოთხრობაა. მასში ავტორი ამხელს ბურჟუაზიის თვალთმაქცურ მზადებას ომისათვის, მორიგი სისხლის ღვრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინეთი ომის ცეცხლში











სურათებზე ზევიდან ქვევით—მე-19 არმიის სარდალი ცაი-ტინ-კაი შტაბის ოფიცრებთან ერთად მოწინავე პოზიციებზე; სტუდენტების გამოსვლა ანტიიაპონურ მიტინგზე შანხაიში; უცხოელ ჯარის ნაწილების პარადი შანხაიში, რომლებიც ჩამოვიდნენ სეტლმენტის დასაცავად; იაპონიის პატრული ხანკოუს ქუჩებში; „აღმოსავლეთის ბიბლიოთეკის" ხანძარი ჩაპეიში. ცეცხლი გააჩინეს აიპონელმა ხულიგნებმა ჩინეთის ჯარის საპასუხოდ, რომელმაც წინააღმდეგობა გაუწია იაპონელებს.

## ზათქი რომ გააქვს მაღალ გიგანტებს

კვდება რაც იყო
დახავსებულ ნანგრევებიდან
მიდის იშლება
მკერდ გაპობილ მთების ქანებად.
წელმა მოხარა
საუკუნის ავი თარეში
ბოლშევიკური,
არის განცდა და გაქანება.
და სადაც ეხლა,
ზათქი გააქვს მაღალ გიგანტებს

შევძახოთ შრომას,
რომ ტემპები მოსკდეს ღვარებად.
ყოველი წუთი
გეგმებშია გამოზომილი,
წუთი რა არის
ისიც გახდეს შრომის ზიარი
არის შეტევა,
წინ ახალი გამარჯვებებისათვის—
დაზგიდან დაზგებს
გადასძახის ენტუზიაზმი.

ჭკივის დაზგა და...
ყოფილი ხმა ნანგრევებიდან
მიდის იშლება
მკერდ გაპობილ მთების ქანებად.
წელმა მოხარა
საუკუნის ავი თარეში
ბოლშევიკური
არის განცდა და გაქანება.

ვერა შუბლაძე.

# ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე

## უკანასკნელი პორტრეტი

პატარა, ჩია, თხელი კაცი, ტანთ ძველი, გახუნებული სერთუკი, ან ასეთივე პალტო აცვია. თავზე ევროპიული „ქვაბუნა“, უფრო ხშირად კი შავი რბილი ქუდი ახურავს.

ხშირი, სქელი წვერ-ულვაში, გაჭაღარავებული. სახე—დანაოჭებული, დაღარული, დაჭმუჭნული დროისაგან. სქელი წარბები დასწოლიან შავს, ჩაბინდულ თვალებს.

მოკლე და ნელის ნაბიჯით მოდის ქუჩაში. ხელთ გაზეთები ან ძველი წიგნები უპყრია. მოდის, თითქოს ველარავის ხედავს, ველარავის სცნობს. მაინც იშვიათად შეხვდება ნაცნობს. მისი თაობიდან ძალიან ცოტაღა დარჩენილა: თითზე ჩამოსათვლელი. მარტოდ-მარტოა. პატარა, ჩია ქედ-წახრილი მოხუცი.

ასეთი დაახსომდება ჩვენს თაობას ზაქარია ჭიჭინაძე.

## უბადლო მწიგნობარი

ანატოლ ფრანსი დანანებით შენიშნავს ერთ ადგილას,—მგონი „ოდეონის თალებში“,—რომ ჯერ კიდევ არ არსებობს კომისიონერები, რომლებიც დილაობით დაივლიდენ მდიდართა სახლებს და მიაწოდებდენ მკითხველთ ახლად გამოსულ ლიტერატურას. კარგი იქნებოდა ამ წამოწყების დაარსება,—დასძენს ფრანსი,—რადგან თავიანი და მარჯვე კაცი აქედან უდიდეს საქმეს შექმნიდაო...

შეიძლება ითქვას, რომ უდიდესი საქმე, რომელზედაც ოცნებობდა ფრანგული პროზის გამოჩენილი ოსტატი, საქართველოში შეიქმნა ამ ორმოცდაათიოდე წლის წინად. „მარჯვე“ ადამიანი, რომელმაც სული ჩაუდგა ამ საქმეს იყო ჩვენს ქვეყანაში მეტად პოპულიარული მწიგნობარი ზაქარია ჭიჭინაძე... მაგრამ იყო უდიდესი და პრინციპიული განსხვავებაც ფრანსის იდეალურ კომისიონერსა და მოხუც ზაქარიას შორის. უკანასკნელისათვის არ არსებობდა „მდიდრული სახლები“. ეს იყო მასების უანგარო კომისიონერი კულტურულ ფრონტზე. მთელი სიცოცხლე, ძალღონე და უშრეტი ენერგია ამ დაუცხრომელმა ენტუზიასტმა შესწირა ჩვენი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერების და კულტურული განვითარების საქმეს.

## ბრძოლა წიგნისათვის

საგულისხმოა მეტად ამ კაცის თავგადასავალი. ეს არის საუცხოო გაკვეთილი. იგი გვასწავლის, რომ ყოველ ნიჭიერ ახალგაზრდას მტკიცე ენერგიით, ძლიერი ნებისყოფით და ენტუზიაზმით, შეუძლია გაიკაფოს ცხოვრების გზა, გადალახოს ყველა დაბრკოლება, მიაღწიოს დასახულ მიზანს.

ზაქარია მეთუთხმეტე შვილია ხელოსნის ოჯახში. ცამეტი წლის უკვე „ამთავრებს“ სწავლას პირველ დაწყებით სკოლაში. მისი განათლება ამ დროს ამოიწურება წერა-კითხვის ცოდნით. ამის შემდეგ იწყება პერიოდი ხეტიალის. ბავშვის სასწავლებელი ხდება ქუჩა და ბაზარი, ხიდი და მოედანი. აქ იგი ეცნობა ცხოვრების ავან-ჩავანს, საზოგადოების ქვედა ფენებს, სოციალურ „ფსკერს“. ეცნობა ბოგანოთა ყოფას, ხელოსნებს, მუშებს.

ამავე დროს თითონაც იწყებს დამოუკიდებელ შრომას. მუშაობს თამბაქოს ქარხანაში მოწაფედ, შემდეგ ხელზე მოსამსახურედ სასტუმროში. ეს პერიოდი გადამწყვეტია. ბავშვს ერევა დაუცხრომელი წყურვილი სწავლისა. მაგრამ ღარიბი მუშისათვის დაკეტილია ბურჟუაზიული სკოლის კარები. მიმართავს სხვა გზას. ახალგაზრდა კაცი იწყებს სამსახურს წიგნთსაცავში. გაუმაძღრად „ყლაპავს“ წიგნებს, განურჩევლად, ზედაპირულად, შეუსვენებლად.

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ მას ვხედავთ საცენზურო კომიტეტის მოხელის თანამდებობაზე. აქ მას ...

არა მარტო ჩვეულებრივი წიგნები, არამედ უამრავ აკრძალული და არალეგალური ლიტერატურა. ზაქარია გულმოდგინეთ ეზიდება იქედან თავის სახლში უამრავ აკრძალულ წიგნებსა და ჟურნალ-გაზეთებს, კითხულობს თითონ და აკითხებს სხვებს.

## შეხვედრა სერგეი მესხთან

ეს არის მეტად საინტერესო ეპიზოდი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი ზაქარია ჭიჭინაძის ცხოვრებაში. ამბავი მისი შეხვედრისა ხუთ ქართველ მწერალთან. ეს მოხდა გასული საუკუნის სამოცდაათიან წლებში, ტფილისში.

აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე მიდიან ქუჩაში. ერთ სასტუმროს წინ ხედავენ თუთხმეტიოდე წლის ყმაწვილს, რომელსაც ხელში გაზეთი „დროება“ უჭირავს და გულდასმით კითხულობს. სერგეი მესხი, ამ გაზეთის რედაქტორი გაოცებულია,—„დროებას“ ახალი მკითხველი გასჩენია, ისიც ასე ახალგაზრდა. იგი დიდხანს ესაუბრება ყმაწვილს. აღმოჩნდება, რომ ეს ახალგაზრდა დღე და ღამე წიგნების კითხვაზეა გადაყოლილი, რომ მას ასე გასინჯეთ „დროებაც“ კი აქვს გამოწერილი (იმ ხანებში „დროების“ ხელისმომწერთა რიცხვი მთელ საქართველოში ას კაცამდე თუ იქნებოდა).

სერგეი მესხი იახლოვებს ახალგაზრდა კაცს. ხელს უწყობს, მფარველობს, აქეზებს სწავლაზე. ჩქარა ზაქარია უახლოესი თანამშრომელი ხდება მისი გაზეთის. 1872 წლიდან იგი ათავსებს გაზეთში პატარა წერილებს. მისი ფსევდონიმია „მთაწმინდელი“, რადგან ბინადრობს მთაწმინდაში.

## ქართველი შოველი

1875 წლიდან ზაქარია იწყებს წიგნების გამომცემლობას. „ჩემი თვალების გახელის დროს,—სწერს იგი,—მე ვიყავი ძლიერ დალონებული და გულიც დარდით მქონდა სავსე, რომ ქართველებს ქართული წიგნი სულ არ გვქონდა. ვიყავით დატუქსული, ქართული ენა იდევნებოდა. წიგნების გამრავლება და გამოცემა მიმაჩნდა ჩვენი ეროვნების აღდგენის მალამოდ და ამიტომ დღე და ღამ ამ იმედით ვსულდგმულობდი“.

ჩვენ ვხედავთ თუ შედარებით როგორი მცირე პრეტენზიებით გამოვიდა ავტორი სამოღვაწეო ასპარეზზე. ჩვენ ვიცით, რომ მისი მუშაობა მარტო წიგნების გამოცემით არ შემოფარგლულა, მან უფრო მეტი და თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ჩვენი კულტურის სხვადასხვა სფეროში. აქ უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი თაობისათვის ეხლა ძნელი გასაგებია, თუ როგორი გმირობა იყო იმ დროს ქართული წიგნის გამოცემის ტვირთის აღება.

ბრწყინვალე წოდებას მაშინ ქართული წიგნი არაფრად ეჭაშნიკებოდა. გლეხობა ისევ მძიმე უღელში იყო გაბმული, მუშათა კლასი ჯერ კიდევ წარმოადგენდა „კლასს თავისთვის“, თავადაზნაურული და ბურჟუაზიული ინტელიგენცია გადაგვარების გზაზე იყო დამდგარი. ეს იყო ხანა, როდესაც აკაკი იუვენალის გესლით სწერდა „აპელაციის მცოდნეს“.

ქართული წიგნის ბაზარი ძალიან განსაზღვრული იყო. მაგრამ ზაქარია არ შეუშინდა ამ გარემოებას. იგი თითონ იყო დამწერიც, ამწყობიც. დამბეჭდავიც და გამსაღებელიც. წიგნების გამოცემას არ კმარობს.—იგი ხსნის პატარა წიგნის მაღაზიას. კვირაობით წიგნებით სავსე ფართე მაგიდა მას გადააქვს შუა ბაზარში, ფართოდავრცელებს ქართულ წიგნებს ხალხში. ამითაც არ კმაყოფილდება. იგი მოგზაურობს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თან მიაქვს უამრავი წიგნები. არიგებს, ყიდის. ავრცელებს მათ. ამ მხრივ იგი მოგვაგონებს უკვდავშობილ პერსონაჟს ერკმან-შატრიანის „გლეხი კაცის ისტორიიდან“, ეს არის მე-

## სახლი მთაწმინდაში

1892 წლის შემოდგომაზე ... ნინოშვილი ხუმრობის კილოთი სწერდა თავის ზესტაფონელ მეგობრებს: „ნამოვედი ქალაქსა სატახტოსა და დავემკვიდრე სახლსა შინა ზაქარიასსა“. ტფილისში ჩამოსვლის შემდეგ ეგნატე ერთხანს მართლაც ზაქარია ჭიჭინაძის ბინაზე ცხოვრობდა.

ვის არ უცხოვრია მის ბინაზე, ვის არ შეუფარებია თავი მის ჭერ ქვეშ.

შეიძლება ჩამოითვალოს უამრავი სახელები ქართველი მწერლების, პოლიტიკური მოღვაწეების, თვითმპყრობელობისაგან დევნილი რევოლიუციონერების, რომელთათვის ზაქარიას სახლი მთაწმინდაში ნამდვილ თავშესაფარს წარმოადგენდა.

ეს სახლი განსაკუთრებით ცნობილი იყო ქართულ ბურსაში.

დაინტერესების ერთ უმთავრეს ობიექტს წარმოადგენდა ზაქარიას მდიდარი და იშვიათი ბიბლიოთეკა.

რას არ იპოვიდით აქ? დაწყებული გერცენის „კოლოკოლით“ და გათავებული მარქსის „კაპიტალით“, არ იყო წიგნი ან ჟურნალ-გაზეთი, რომ ზაქარიას არ ქონდეს თავის წიგნთსაცავში.

ყოველდღე ზაქარიას სახლს აწყდებოდენ ტფილისის სემინარიის შეგირდები.—გვიამბობს ბიოგრაფი,—მიჰქონდათ წიგნები, ან მთელ ღამეებს ათენებდენ აქვე, მთაწმინდაში... კანიკულების დროსაც წაიღებდენ წიგნებს სოფელში და შორე შემოდგომაზე ჩამოჰქონდათ. შემოდგომისას, ვიდრე თავიანთ ბინებზე მოეწყობოდენ, ისინი ყველა ერთად ცხოვრობდენ ზაქარიას სახლში, რჩებოდენ იქ თვეობით და ყოველი გაჭირვების დროსაც სემინარიელებისათვის ეს სახლი იყო სტუმართმოყვარე და თავშესაფარი...

## ფოლკლორი და ძველი პერგამენტები

ქართული ფოლკლორისტიკის წინაშე დიდი ღვაწლი მიუძღვის ზაქარიას. საქართველოში მოგზაურობის დროს იგი კრებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს, მას შეგროვილი აქვს უამრავი ლეგენდები, ლექსები, ზღაპრები. მაგრამ საოცარია რიცხვი მის მიერ შეკრებილი ძველი ქართული ხელნაწერების. მარტო სამი წლის განმავლობაში მან შეკრიბა ხუთასზე მეტი ხელნაწერი, აგრეთვე რამდენიმე პერგამენტზე ნაწერი, ჯოხზე დახვეული და ტყავის ბუდეში ჩადებული.

მრავალი ხელნაწერი გამოუცია ზაქარიას, ბევრი ძვირფასი ძეგლი ჩვენი ძველი მწერლობისა, მივიწყებული და უცნობი საზოგადოებისათვის გამოუქვეყნებია მას და გაუხდია ხალხისათვის ხელმისაწვდომად. მრავალ სხვა ნაწარმოებთა შორის მას გამოცემული აქვს „ქართლის ცხოვრებაც“ რამდენიმე ტომად.

ზაქარია თავის დროზე მჭიდრო ურთიერთობაში იყო თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველებთან რუსეთში. მას მუდმივი მიწერ-მოწერა ქონდა ილია ოქრომჭედლიშვილთან, მარი პროსისთან, დავით ჩუბინაშვილთან, ალ. ხახანაშვილთან, ნიკო მართან და სხვებთან.

## წარღვნა წიგნების

იშვიათია დარგი ქართული კულტურის, რომლითაც ზაქარია ჭიჭინაძე არ დაინტერესებულიყოს და თავისი ნიჭისა და ცოდნის მიხედვით შიგ წვლილი არ შეეტანოს. ამ მხრივ პირდაპირ გაოცებას იწვევს მრავალფეროვანი ხასიათი მისი ნაშრომების. ამბობენ, რომ ზაქარიას დაწერილი აქვს 250 წიგნი. ამ რიცხვიდან ნახევრამდე უკვე დაბეჭდილია და გამოცემული.

არ გამოსულა საქართველოში ჟურნალი ან გაზეთი, სადაც ზაქარიას არ ეთანამშრომლოს. მარტო ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილი მასალა ალბათ შეადგენს რამდენიმე

დაუწერია უამრავი ისტორიული, ბიოგრაფიული, ბიბლიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, სამეცნიერო, პოპულიარული, სალიტერატურო და სხვა ხასიათის შრომები.

ზაქარია ჭიჭინაძის კალამს ეკუთვნის ურიცხვი წერილები და წიგნები ქართველ მაჰმადიანთა შესახებ, სამაჰმადიანო საქართველოში პირველად ზაქარიას წყალობით შეიჭრა ქართული წიგნი. მასვე ეკუთვნის წერილები ქართველ კათოლიკეთა შესახებ, პირველი ისტორია ქართველ ისრაელებისა, ისტორია ქართველ გრიგორიანებისა, ისტორიული ნარკვევები აფხაზების, ოსების და ლაზების შესახებ; ქართველ ქალთა შესახებ. ზაქარიას უწერია ისტორია ქართული სტამბისა, ქართული გაზეთის, მის კალამს ეკუთვნის დიდი შრომა—ქართული მკურნალობის ისტორია; ნარკვევები—საქართველოში ვაჭრობა-მრეწველობის ისტორია, ძნელია ყოველივეს ჩამოთვლა. მასვე უწერია მიმოხილვები ძველი ქართული ლიტერატურის, პოეზიის, თეატრის და სხვ. შესახებ.

ზაქარია ჭიჭინაძის ნაწერების თემატიურ ნაირფეროვნებას თითქოს საზღვარი არ უჩანს, მის დაუღალავ კალამს უწერია პოპულიარული ბროშურები პრუდონზე, ლუი ბლანზე, სენ-სიმონზე, მთელი ტომი საქართველოს მუშა-ხელოსნების ცხოვრებაზე, დაბოლოს აღსანიშნავია მისი მონაწილეობა საქართველოს ბატონყმობის ფაქტიურ მასალათა გამოქვეყნებაში.

ზაქარიას ნაწერების ჩამოთვლა აქ შეუძლებელია. მარტო მათი სათაურები შეადგენენ ალბათ რამდენიმე გვერდს.

## ღირსება, ნაკლი და მემკვიდრეობა.

ამ სიძლიერეში იყო უდიდესი სისუსტე, ამ ღირსებაში იფარებოდა უაღრესი ნაკლი გასაოცარ მრავალმხრივობას და ინტერესთა მრავალფეროვნებას თავისი უარყოფითი მხარეც ქონდა. იმ ურიცხვ საკითხთა შორის, რომელზედაც უწერია და უშრომია ზაქარია ჭიჭინაძეს, არც ერთი არ არის დამუშავებული და შესწავლილი მკაცრ მეცნიერულ საფუძვლებზე. მას რომ ერთი რომელიმე სფეროთი შემოეფარგლა თავისი სალიტერატურო-სამეცნიერო მუშაობა, ჩვენს ღრმა რწმენით, იგი ღრმა კვალს დაამჩნევდა იმ სფეროში და დასტოვებდა მეტად მნიშვნელოვან ნაშრომებს არჩეულ დარგში. მაგრამ სამწუხაროდ ეს არ მოხდა.

არაჩვეულებრივმა ენციკლოპედიურობამ, ყურადღების დაფანტვამ, საკვლევ ობიექტების იშვიათმა სიმრავლემ მის ნაშრომებს დაასვა ერთგვარი დაღი სიჩქარის, ზერელობის, დაუმუშავებლობის.

მას არ გააჩნდა გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, აქედან—ყოველგვარი მეთოდის უქონლობა ლიტერატურულ, ისტორიულ და სხვა ხასიათის შრომებში.

მისი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ნაშრომები: ქართული მწერლობა მე-12 საუკუნეში, ქართული მწერლობა მე-13 საუკუნიდან მე-16 საუკუნემდე, და ქართული მწერლობა მე-17 საუკუნეში,—წარმოადგენენ კატალოგისებურ მიმოხილვებს.

სიჩქარით გამოწვეულ ზერელობას უნდა მიეწეროს ის ფაქტი, რომ ჩამოთვლილ 5ა შრომებში ხშირია ზღაპრული, შეუმოწმებელი ცნობები, მოცემულია ნუსხები ისეთი მწერლებისა და თხზულებებისა, რომელთა შესახებ დღეს არავინ იცის რაიმე. ავტორს კი აღნიშნული არა აქვს, საიდან ამოიღო მან ასეთი ცნობები. ასეთივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე სხვა მის ნაშრომებშიაც.

ყოველივე ნათქვამი, ცხადია, არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ზაქარიას თხზულებები მოკლებულნი არიან ერთგვარ თავისებურ ღირებულებას. ეს თხზულებები ბევრს შემთხვევაში შეიცავენ მეტად საინტერესო, მდიდარსა და ხშირად ძვირფას ფაქტიურ მასალას შესაფერი დარგის მკვლევარებისათვის.

**ლ. ასათიანი.**

# მოგონებანი გ. სუნდუკიანზე

## გარდაცვალებიდან 20 წლის თავის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოგონება გაბრიელ სუნდუკიანზე ეკუთვნის პატივცემულ ექიმს ბაგრატ ნაკაშიძიანს, რომელიც ერთი უახლოესი მეგობარი იყო განსვენებულის. ჩემს თხოვნაზე, რათა მას გადმოეცა ზოგიერთი ცნობები დრამატურგის ცხოვრების შესახებ, მან მითხრა: „უნდა გამოტეხლი გითხრათ, რომ საზოგადოთ მე ჩემს სიცოცხლეში ძალიან მცირე მეგობრები მყოლია და ამ მცირეთა შორის ერთი პირველთაგანი გაბრიელი იყო. ის ხშირად მეტყოდა ხოლმე: „ბაგრატ, მე იმიტომ მიყვარხარ, რომ ხასიათით მე მგავხარო. არ ვიცი მართალი იყო ეს თუ არა, მაგრამ მე მაინც ძალიან მიყვარდა იგი. გაბრიელი მე შემთხვევით გავიცანი. ეს იყო 1879 წელს. მე-2 კურსის სტუდენტი ვიყავი, როდესაც ტფილ. ჩამოვედი. ამავე ხანებში ძველ ოპერის თეატრში ბევრ საზოგადოებას მოეყარა თავი. სუნდუკიანის ახალი პიესა „ხათაბალა“ მიდიოდა, მე მოვიწადინე პიესის ნახვა და წაველ თეატრში. ბევრ საზოგადოებას მოაყარა თავი. როდესაც გათავდა სამი მოქმედება, ანტრაქტის დროს, ფოიეში დამსწრენი საუბრობდნენ, ურთ-ერთს თავის აზრს უზიარებდენ პიესის შესახებ. რადგანაც მაშინდელი საზოგადოება სტუდენტობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა, მისი წარმომადგენით როგორც ძალიან ნასწავლ ადამიანებს, ამიტომ მეც მომმართეს, რათა ჩემი აზრი გამომეთქვა პიესის შესახებ. მეც გამოვსთქვი ჩემი აზრი, ვთქვი, რომ „თუმცა პიესა კარგია შინაარსით, ტიპები საინტერესონი არიან, მაგრამ პიესის ერთი უმთავრესი მოქმედი პირი სახელდობრ მასისიანცი სუსტად არის ჩამოყალიბებული, უხასიათოა, რაღაც მჩვარს ჰგავს და ეს მაშინ, როდესაც ის განათლებული ადამიანია და ლაპარაკობს ახალ ცხოვრებაზე, კულტურაზე და სხვ. ეს ჩემი სიტყვები ვიღაცას გადაეცა იქვე მყოფ სუნდუკიანისათვის, რომელსაც მე არ ვიცნობდი. მცირე ხნის შემდეგ მომიახლოვდა სასიამოვნო სახის ადამიანი, რომელმაც თავაზიანათ მომმართა და მკითხა: „ყმაწვილო, თქვენ გამოგითქვამთ პიესის შესახებ თქვენი მოსაზრება, რატომ მე არ მითხარით, მე დიდათ მადლობელი დაგირჩებოდით“-ო. მე ცოტა არ იყოს ყოყოჩობით მიუგე: დიახ, მართალი უთქვამთ და თუ გსურთ მე ჩემს აზრს გაზეთითაც გამოვსთქვამ მეთქი.

სუნდუკიანმა გულკეთილად გაიღიმა და მომიგო: „რა საჭიროა ყმაწვილო გაზეთში წერილის დაბეჭდვა, თქვენ დასწერეთ თქვენი აზრი, შეხედულება პიესის შესახებ და მე მომიტანით, ამით თქვენ დიდათ დამავალებთ და სამსახურს გამიწევთ“. ეს სიტყვები ისეთის თავაზიანობით იყო ნათქვამი, რომ მე უხერხულად ვიგრძენი თავი და დარცხვენილმა შევპირდი, რომ ავუსრულებდი თხოვნას. მან მომცა თავისი მისამართი და მითხრა, რომ მეორე დღეს მასთან მივსულიყავი. მე დაპირებისამებრ მეორე დღესვე მავუტანე რეცენზიისებური წერილი პიესის შესახებ. მან წაიკითხა და კმაყოფილი დარჩა. აი, ასე გავიცანით ერთმანეთი. მას შემდეგ, ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიყავით. სუნდუკიანი თავის თხზულებებს დიდის სიფრთხილით ეპყრობოდა წერის დროს, ის ხშირად შეცვლიდა რომელიმე სცენას, გადაამუშავებდა ხოლმე. გაბრიელს ძალიან უყვარდა ოსტროვსკი და მოლიერი, მე ასე მგონია, რომ ის უშუალოდ განიცდიდა პიესების წერის დროს ოსტროვსკის გავლენას, თუმცა უნდა ათქვას, რომ მისი (სუნდუკიანის) ტიპები სრულიად დამოუკიდებელნი არიან თავიანთი ხასიათით და მდგომარეობით, რომელნიც გამოხატავენ ძველი ტფილისის სინამდვილეს და, რომელთაც სუნდუკიანი თავისი იშვიათი დაკვირვებით ზედმიწევნით იცნობდა. სუნდუკიანი თავის პიესების სიუჟეტებს ხშირად ცხოვრების სინამდვილიდან იღებდა. მაგალითად: „პეპო“, „ხათაბალა“ და სხვებიც ნამდვილი ცხოვრებიდან არის ასახული. ერთხელ, ამ ორმოცი წლის წინათ, მე და გაბრიელი ფეხით მივდიოდით მეტეხის ციხის ახლოს ბაყალხანაში. ამ დროს მან დაინახა ერთ ბაყლის სავაჭროს წინ მდგომი კოხტა, ყარაჩოღელის ტანისამოსში გამოწყობილი ახოვანი ლამაზი ვაჟკაცი. მის დანახვაზე გაბრიელს სახე მხიარულად გადაეშალა და ღიმილით მითხრა: ბაგრატ აი ხედავ ამ კაცს, ეგ არის ჩემი „პეპო“. მე ეგა მყავს გამოყვანილი.

ეს კაცი იყო მეთევზე, რომელიც სუნდუკიანს ძალიან უყვარდა, ასე რომ ამ კაცს ერთ-ერთი თავისი ქალიშვილი მოანათვლინა. ამასთანავე ხანდისხან სახლშიაც მიიპატიჟებდა ხოლმე. მახსოვს ერთხელ მე და გაბრიელი გამოვდიოდით სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების სახლიდან აბას-აბასის მოედანზედ, გაბრიელმა გამოსავალ კარებთან შემაყენა და მიმითითა იქვე ახლოს პატარა ბაღზედ — ამ სიტყვებით, — აი ბაგრატ მე მინდა, რომ აქ დავიმარხო, მხოლოდ იმასა გთხოვთ, თუ ძეგლი დამადგათ, ეს ძეგლი „პეპო“ იყოსო. განსვენებულს ძალიან უყავრდა ეს ნაწარმოები და განსაკუთრებით თვით „პეპო“; მართალია გაბრიელი შეძლებულ ოჯახში გაიზარდა, თითონაც მდგომარეობა მოიპოვა, მაგრამ იგი ყოველთვის მოსარჩლე და მფარველი იყო დაჩაგრულის, დამცირებულის, და არა ჩვეულებრივი შემწე-დამხმარე საწყალი ხალხის. ეს იყო ადამიანი, რომლისთანა მაშინდელ სინამდვილეში ნაკლებათ მოიპოვებოდენ, მიანი იშვიათი ფაქიზი გრძნობის, თავაზიანი, თავმდაბალი სიმართლის და ჭეშმარიტების მოყვარე, კეთილი, ზრდილი და დიდათ განათლებული. უნდა გითხრათ და ამას ყველა დაამოწმებს, ვინც კი იცნობდა განსვენებულს, რომ მას არაჩვეულებრივი დიდი სიყვარულით უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი და ტფილისი, ის იტყოდა ხოლმე რომ: „საქართველოს ჭირითა და ლხინით ვსცოცხლობო...

**გ. ბუ—ძლი**

# „სალტე" — რუსთაველის თეატრში

**ავტორი—პ. სამსონიძე. დადგმა—ს. ახმეტელის და შ. ასხაბაძის. მხატვარი—დ. თავაძე. მუს.—გოკიელის.**



რეჟ. ს. ახმეტელი, „სალტე"-ს ავტორი პ. სამსონიძე, რეჟ. შ. ასხაბაძე, მხატ. დ. თავაძე.

მარტის შუა რიცხვებში რუსთაველის თეატრში დადგმული, პროლეტარული მწერლის პ. სამსონიძის პიესა „სალტე" უსათუოდ საყურადღებო მოვლენაა, როგორც სცენიური ინტერპრეტაციის, ისე იდეოლოგიური კვანძის მხრით.

ფონი, რომელზედაც იშლება პიესა, არის თანამედროვე სოფელი. ძირითადი მაგისტრალი—მეურნეობის ახალი ფორმებისათვის ბრძოლა, კოლექტიური შრომის აღმოცენების სიძნელენი, ამ სიძნელეთა დაძლევის რწმენა სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის მიმართულებით.

პიესის გმირი გარსევანი ითვლება კოლექ. წევრად. მიუხედავად იმისა, რომ იგი მუყაითი მუშაკია, მასში მაინც იმარჯვებს კერძო საკუთრების გრძნობა და თავისი ქონება გააქვს კოლექტივიდან. ამის გასამართლებელ მოტივად გარსევანი ასახელებს იმასაც, რომ კოლექტივებში თავმოყრილი არიან მუქთახორები და ზარმაცები, საფიჩიას და დათუნას მსგავსი ტიპები. გარსევანის ამ გზით წასვლას ხელს უწყობენ აგრეთვე კულაკებიც, რომელნიც ყოველგვარ საშუალებებს მიმართავენ, რათა გარსევანი საბოლოოდ მოწყვიტონ კოლექტივს.

ამ ნიადაგზე იქმნება ოჯახური ინტრიგა, რომელიც წვდება გარსევანის ოჯახის თვითეულ წევრს. გარსევანის ერთად-ერთი ვაჟი კომკავშირელი ამირანი (პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი) ეწინააღმდეგება მამის სურვილს, ის ფიქრობს დასტოვოს მშობლები და როდესაც ვერავითარი მუდარა ვერ გასჭრის მასზე, მამა (გარსევანი) მიმართავს ხელოვნურ საშუალებებს, რათა უკანვე დაიბრუნოს თავისი შვილი. აქაც დამხმარე ძალათ ისევ კულაკები გამოდიან. ისინი მიმართავენ ხრიკს, ცდილობენ გაუფუჭონ რეპუტაცია ამირანს კომკავშირში. აქცევენ მას ისეთ პირობებში, რომ ქმნიან ილიუზიას, თითქოს ამირანი ღვთის მორწმუნე და ქურდი იყოს. კულაკების კარგად მოწყობილ პროვოკაციას შეცდომაში შეჰყავს კომკავშირი და ამირანს რიცხავენ კომკავშირიდან. მაგრამ ამირანის მამას გარსევანს, ძვირად უჯდება შვილის ირგვლივ მისი დახმარებით მოწყობილი ინტრიგა: ის ხედავს, რომ აქტიური და ენერგიული კომკავშირელის ბუნება ვერ გარდაქმნა ამგვარმა ბრალდებამ. ის სულიერ ქენჯნას განიცდის და მშობლების ცდების მიუხედავად, გამოსავალს ჰპოულობს თავის ჩამოღრჩობის ცდაში, რომელიც ვერ სრულდება. ამ საბოლოო სცენიურ ფინალში ირკვევა ყველაფერი. გარსევანი მწარედ გრძნობს, როგორც კერძო საკუთრების გრძნობის შედეგს, ისე კულაკობას პროვოკაციულ გამოსვლების ფასს და საბოლოოდ გადახალისებული მთელი თავისი შეგნებით შედის კოლექტივში.

როგორც ვხედავთ, პიესაში დასმულია მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხებისა. ავტორის მიღწევად უნდა ჩაითვალოს ის, რომ იდეოლოგიურად ამ საკითხებზე მოცემულია სწორი პასუხი, ნათლად არის ნაჩვენები საშუალო გლეხის მერყევი ბუნება. ავტორი ცდილა, რომ ამ მხრით პიესა უნაკლო გამოსულიყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, პიესას აქვს ზოგიერთი ნაკლი. ნაკლად ჩაეთვლება ავტორს ის, რომ არა დამაჯერებელი სიტუაციების წყალობით კულაკების მსჯელობას საკმაოდ დიდი ადგილი აქვს დათმობილი.

თვალში ეცემა დაკვირვებულ მაყურებელს აგრეთვე მომქმედ პირთა საუბრის კილო. პიესაში არ არის დაცული მეტყველების გარკვეული კოლორიტი. შეიძლებოდა ეს მისატევებელი ყოფილიყო, რომ მეორე უკიდურესობას არ ქონდეს ადგილი: ზოგიერთი მომქმედი პირი „ლიტერატურული სტილით" მეტყველებს სცენაზე (მაგ. მკითხავი მზეხა აცხადებს: „მიზნის მისაღწევად ყველა საშუალებები გამართლებულიაო").

მაგრამ ეს მეორე ხარისხოვანი დეტალია. საერთოდ კი ავტორმა შესძლო მნიშვნელოვანი დრამატიული თხზულების მოცემა. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ იდეოლოგიური შეცდომების მხრივაც ცუდ არის პიესა დაზღვეული. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ამ მხრივ რაიმე მომაკვდინებელს ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ისეთი უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემა ახალი დრამატურგიისათვის, როგორიცაა სოფლად კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ჩვენება, პიესაში თითქმის მიჩქმალულია. საჭირო იყო ამ მომენტის ცალკე მკვეთრად, მხატვრული მომენტების შერჩევით წინა პლანზე წამოწევა. ამ მხრით მხოლოდ კომკავშირის უჯრედის მდივანი მოსჩანს რელიეფიურად და ისიც პარტიული ხელმძღვანელობასთან მჭიდრო კავშირში ყოფნის სურათის ჩვენების გარეშე. ამასთან ერთად სცენიური ინტერპრეტაცია ტიპის, რომელიც ხელოვნურ პოზებში დგომას ვერ გასცილებია.

თეატრის მიერ პიესა საერთოდ კარგად არის დადგმული. „სალტე" რუსთაველის თეატრის ამ სეზონში მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ: გაფორმების, ტიპაჟის (მოისუსტებს ქალთა პერსონალი) და სოფლის კოლორიტის გადმოცემის მხრით დამდგმელებს უსათუოთ აქვთ მიღწევა.

პირობით რეალისტურ ტონებში (ეს შეეხება უმთავრესად სცენიურ რეკვიზიტს და დეკორაციას) გაშლილი პიესა დადგმის მხრით კარგათ არის მოფიქრებული. სცენაზე იგრძნობა დისციპლინა და სამოქმედო არეს ნოზომილობა. მხატვარი იჩენს ზომიერების ნიჭს, ნოვატორობის ძიების ნაცვლად არის ცდა სცენიური გაფორმება დაუმორჩილოს პიესის სოციალური შინაარსის მკაფიოდ ჩვენებას.

ასევე ითქმის ნიჭიერ მუსიკოსზე გოკიელზე.

თამაშის მხრივ მშვენივრად ასრულებენ თავიანთ როლებს: **ლაღიძე** (ამირანი), **მ. აფხაიძე** და **აბაშიძე** (**ზარმაცები**), **ჩიხლაძე** (მეორე კულაკი), საშუალო გლეხის რეალური სახე მოგვცა მსახიობმა **წულაძემ**.

ამ სპექტაკლში რუსთაველის თეატრის კოლექტივმა უსათუოდ გამოიჩინა თავისი რეჟისორული და არტისტული უნარი. უნარი.

**მაყურებელი.**

---

**ვ. რუხაძე**

## ქალს

იყავ მონა ულამაზესი,
მონა ოჯახის და მონა ქმრისა,
გემართა მხოლოდ, კოცნა, ალერსი
და არვინ გთვლიდა უფლების
ღირსად!
მაგრამ გაშორდი დღეებს ბინდიანს
ხუთ-წლედის გმირის გშვენის
წოდება

და ეგ სახელი ისე დიდია,
საუკუნოებს გაუსწორდება!
მონაპოვარი, რომ არ დაკარგო
და არ იგემო სირცხვილი ,ძრწოლა
კვლავ მეტის ტემპით უნდა აქა-
რგო
ცხოვრების გულზე: შრომა და
ბრძოლა

# ორნაირი იუბილე

სამოცი წლის წინად, 1872 წელს, თბილისში შეითანბაზრის ერთ-ერთ ქარვასლაში პირველად იქნა დადგმული სცენის მოყვარულთა მიერ თურქული წარმოდგენა. წარმოდგენა დიდი წარმატებით ჩატარდა. აქედან ჩაეყარა საფუძველი თურქულ თეატრს საქართველოში. პირველ ხანებში რა თქმა უნდა ქალს სცენაზე ვერ ნახავდით და ქალის როლების შემსრულებლობა მამაკაცებს უხდებოდათ. შემდეგში წარმოდგენები იმართებოდა, მაგრამ მათ არ ქონდათ სისტემატიური ხასიათი. მაგრამ ჩაგვრის პირობებში, არამედ წახალისების და დახმარების ალმოჩენის პირობებში. მხოლოდ 1921 წელს გახდა შესაძლებელი თურქული სახელმწიფო თეატრის დაარსება, სადაც გაიშალა დიდი შემოქმედებითი მუშაობა, ფორმით ნაციონალური, ხოლო შინაარსით ინტერნაციონალური.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს თეატრის მუშაობა ანტირელიგიურ ფრონტზე. თეატრი მიდიოდა სოფლად და აწარმოებდა მოლებისა და და ხოჯების საწინააღმდეგო პროპაგანდას.

ცაა „ალმასი“ „სიიიოი“, „ქართა ქალაქი“. მიმდინარე წლის სამხატვრო ნაწილის გამგედ და მთავარ რეჟისორად მოწვეულ იქნა ა. გურჯალოვი. მისი დადგმები „რღვევა“, და „ანზორი“ დიდი წარმატებით სარგებლობენ.

მიმდინარე წლის 1 მარტს თეატრმა ზეიმით აღნიშნა თავისი ორნაირი იუბილე — ერთი—50 წლის, როგორც მოყვარული წრის, ხოლო მეორე—ათი წლის როგორც თბილისის სახელმწიფო თურქული თეატრი.





**მარცხნივ—რეჟ. ი. ისფაგანლი, პოლ ითხელმძღვანელი ამხ. ასკერი და თეატრის დირექტორი ამხ. ცლმსი. მარჯვნივ—სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ა. გურჯალოვი და რეჟ. ისფაგანლი.**

რამ როგორც სჩანს საქმე სერიოზულად იყო დაწყებული, მისი მონაწილენი დიდი სიყვარულითაც ეკიდებოდენ მას, თორემ ძალიან ძნელი იყო მისი მოტანა დღემდე იმ აუტანელ პირობების გამო, რომელიც შექმნილი იყო მის გარშემო ჯერ მეფის დროს და შემდეგ მენშევიკების დროს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამ საქმის ენტუზიასტთა ჯგუფს შესაძლებლობა მიეცა გაეშალა თავისი მუშაობა არა დევნის და

თავისი ნამდვილი არსებობის 10 წლის მანძილზე თეატრმა შესძლო შეექმნა, როგორც მსახიობთა, აგრეთვე რეჟისორთა კადრი. მათ შორის აღსანიშნავია დამსახურებული მსახიობი **აბასოვი**, რომელიც 22 წელია სცენაზე მუშაობს, **ტარლან ხანუმ, ნ. ალიხანოვა, ნ. ორლინსკაია, ა. ჰუსეინოვი, ა. ხალილოვი, შახსაბახლი** და სხვა. რეჟისორებიდან აღსანიშნავი ნიჭიერი **იბრაჰიმ ისფაჰანლი.** მას ეკუთვნის ისეთი დადგმები, როგორიც

ამ 10 წლის იანმავლობაში თეატრმა გაიარა ის გზა, რომელიც იყო გზა ზრდის და წარმატების.

ჩვენი ქვეყნის გიგანტური სოციალისტური მშენებლობა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია რთულ და აქტუალურ ამოცანას უსახავს თეატრს და თეატრი შესძლებს საბჭოთა ხელისუფლების დახმარებით მიაღწიოს უფრო მეტ წარმატებებს. ამის საწინდარია თეატრის არსებობის სამოცი წელი. **ლი**



8 მარტს მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის მუშ რომელ ქალთა დელეგაცია

[illegible]

# უცხოეთის ფოტო-ქრონიკა

## ახალი აეროპლანი

გერმანელმა პილოტმა **გელმუტ ხიტმა** გამოიგონა ახალი მოტორი აეროპლანებისათვის. მოტორი 4 ცილინდრიანია საჰაერო გაცივებით. ცილინდრების ჩვეულებრივი ვარსკვლავისებური განრიგება შეცვლილია ვერტიკალურით. მოტორი65 ცხ. ძალისაა და წუთში აკეთებს **2.100** ბრუნვას. ასეთი მოტორიან აეროპლანს შეუძლია საათში 150 კილომეტრის გავლა. მოტორს საათში სჭირდება 18 ლიტრი საწვავი, ანუ 15 პროც. ნაკლები, ვიდრე სხვა მოტორებს.



**სურათზე** —გამომმოგონებელი გელმუტ ხიტი თავის აპარატთან.



## ამერიკის კაპიტალის ლაქიები

უკვე რამდენიმე წელიწადია შეერთებული შტატების ქენახშირის რაიონებში, განსაკუთრებით ხარლანის საგრაფოში (კენტუკი) ბრძოლა სწარმოებს მშიერ მემაღაროეთა და ქვანახშირის მაღაროების პატრონებს შორის მათი ლაქიების—შერიფების, მოსამართლეების, პოლიციის—სახით. გასული წლის გაზაფხულზე ხარლანში დააპატიმრეს 100 მემაღაროე. ბევრ მათგანს სიკვდილი მოელის.

**სურათზე:** ზევით მარცხნივ — შერიფი ჯონ გ. ბლეირი. მისი ხელმძღვანელობით დაქირავებული მკვლელები ხოცავდნენ მემაღაროებს. ქვევით მარცხნივ—ჯორჯ ს. ვორდი, მაღაროს მეპატრონეების ხარლანის გაერთიანების მდივანი. მისი ხელმძღვანელობით სწარმოებს ბრძოლა მემაღაროების ნაციონალური (რევოლიუციონური) კავშირის წინააღმდეგ. ცენტრში—მარიონ ალენი ერთ-ერთი დაქირავებული მკვლელთაგანი, რომელმაც მოჰკლა მუშური პრესის ჟურნალისტი ბ. იზრაილი იმისათვის, რომ მან გამოაქვეყნა გამოსამჟღავნებელი მასალა. ზევით, მარჯვნივ—მოსამართლე ჯონი. მან შეადგინა საბრალმდებლო დასკვნა, რომელშიაც 60 მემაღაროეს ბრალს სდებდა „ბოროტმოქმედებითი“ სინდიკალიზმში და 47-ს „წინასწარ განზრახულ მკვლელობაში“. ქვევით მარჯვნივ—ჯოზეფ ნოლენი, ამერიკელ ფაშისტების ბრბოს მეთაური. ამ ბრბოს ჰქვია „ამერიკული ლეგიონი“.

## კლასობრივი იუსტიციის მსხვერპლი

შოუ-ილში დააპატიმრეს ზანგი ლი, რომელსაც ბრალად სდებდნენ მკვლელობას. რემედასის ამერიკული სექციის ცნობით ლის ცემის შემდეგ ძალით მოაწერინეს ხელი ჩვენებაზე იმის შესახებ, რომ მან მართლა ჩაიდინა მკვლელობა გაძარცვის მიზნით. მას არც კი წააკითხეს ეს ჩვენება.



## აჯანყება ციხეში

ობირნში (ნიუ-იორკის შტატი) სახელმწიფო ციხეში აჯანყდნენ პატიმრები. პირველმა აჯანყებამ არაჩვეულებრივ საშინელი პირობების გამო ამ ციხეში იფეთქა 1929 წლის ივნისში. მიუხედავად საშინელი რეპრესიებისა აჯანყებულთა წინააღმდეგ იმავე წლის დეკემბერში იფეთქა მეორე აჯანყებამ. აჯანყებულებმა დაიკავეს ციხის შენობა და გადასჭრეს ტელეფონის მავთულები. პოლიციამ აჯანყებულების წინააღმდეგ მიმართა იარაღს და გაზის ბომბებს. შორის **9** კაცი მოკლულია და 6 დაჭრილი. ციხის ყარაულიდან 1 კაცი.

**სურათზე** — აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მიჰყავთ ერთ-ერთი აჯანყებული.



**სურათზე** — ზანგი ლი ორკილებდადებული გამოჰყავთ მისი ბინიდან.

## ბურჟუაზიული ტერორის ახალი მსხვერპლი

მექსიკანურ გაზეთ „ექსელციორ“-ის 25 იანვრის ნომრის რეპროდუქცია, რომელიც იუწყება კომუნისტ ამხ. მარტის მკვლელობის შესახებ. ამხ. მარტი ერთ დროს იყო სანდონის ჯარში ნიკარაგუაში, მაგრამ შემდეგ იძულებული იყო დაეტოვებია ნიკარაგუა. ის ერთი წლის განმავლობაში ცდილობდა მოხვედრილიყო რომელიმე ლათინურ რესპუბლიკაში, მაგრამ ყველა ადგილიდან მას აძევებდნენ, როგორც კომუნისტს. და ბოლოს ის მოხვდა სალვადორში, სადაც გაშალა დიდი რევოლიუციონური მუშაობა.




## თეთრი ტერორი შეერთ. შტატებში



ხარლანში შერიფმა მოჰკლა ამხ. **გარი სიმსი** სიმსი იყო მემაღაროეთა ნაციონალური კავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი. სიმსის დაკრძალვა გადაიქცა მასიურ პროლეტარულ პროტესტად შეერთებულ შტატებში თეთრი ტერორის წინააღმდეგ.

**სურათზე** — კომკავშირელთა ყარაული ამხ. გარი სიმსის კუბოსთან.

**ფასი 15 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტამბა „კომუნისტი“ კამოს ქ. № 68 შეკვეთა 950. ტირაჟი 6.000